

# ଅମୋଦ ପାମିର୍ଯ୍ୟଳୀ

ଲେଖକ

# ପ୍ରକାଶନ

• ୧୯୭୭ ମେସା ମୃଦୁଲୀ •



უდახმა მოთავსებული სურათი კართულ-გაფური დარღვევებით  
ამოღებულია გასეური გურიაში გურიაში

ଶରୀରା ପିପିଳିଶରୀର

# ଅରଧଚାରିତ୍ରା ଧାସକୀତଥି

(1977 ଜାନୁଆରୀ ଦିନାମାତ୍ର)



ତଥିଲିପିରେ ଉଚ୍ଚବ୍ରତରେଣୁକାରୀ ଧାସକୀତଥି  
ତଥିଲିପି 1977

4 И(Баск)  
491.69+494.6  
d 631

Քոցնո՞մ առներունո՞ւ սածուու թէ բայայշը հեծուն գալուսակուու թէ թացայտ 1977 թվուն ովլուս մայուսուն ամ գալուսակուու երևմմանունը պահ ։ Շ. ժոսոյանը մոցնայրունուն թուծեցութուն էրտադան ընտադ ամուշիքը ծասկու-ի յան թագալասեցա սայութես ճա զամուխցամս սանճուրեսու մուսակ-հեցեց թատ թցեսակեծ ։

Իշխանութեայի էրտադ ։ Հ. Բ. Կ 30 Մ 30 Լ 0

© Թօնուսուս Սնօվայի սուրբութուս զամուչութուն, 1977

60000  
D \_\_\_\_\_  
m 608(08)-77

ბასკები არაინდოეგროპული მოდგმის ერთადერთი უძველესი ხალხია დასავლეთ ევროპაში. ენის სტრუქტურით, ყოფის რეალი-ებით, ეთნოგრაფიული ტიპოლოგიით, ეროვნული ფსიქოლოგიით ბასკთა ტომი სრულიად თავისებურია და არქაული ცივილიზაცი-ის ნიშანდობლივი თვისებებით აღმდეგილი.

დღევანდელ მსოფლიოში ბასკური ენის არსებობა — ესაა ციც-ხალი ჰულსაცია უძველესი ლინგვისტური ორგანიზმისა, რომელიც განეკუთვნება ათასწლეულების წინარე ეპოქის ეთნოგონიურ სამყაროს და ცხადლივ მიგვანიშნებს დასავლეთ ევროპის თავდა-პირელი მოსახლეობის პირველსახეს. გამოჩენილი ნორვეგიელი ქართველოლოგის პროფესორ ჰანს ფოგტის სიტყვები რომ გა-ვიმეოროთ, თუ ბასკური ენა გადაშენდება, მაშინ მომავალ თაო-ბას ხელიდან გამოეცემდა ის გასაღები, რომლითაც იგი კარს შეა-ღებდა შორეული წარსულის წყვდიადით მოცულ საიდუმლოებაში.

დამახასიათებელია ერთი ესპანელი ისტორიკოსის შემდეგი სი-ტყვები:

„ერთადერთი ენა, წინარე ისტორიიდან გადარჩენილი, საკვირ-ველება, ესპანეთს რომ ებოდა ნეოლითის და, შესაძლოა, პალეო-ლითის მიერ... რა ენაა ეს ენა? ვერავითარი ძალა ევროპაში ვერ გადაისცრის XX საუკუნის ადამიანს, ვთქვათ, 5 ანდა 10 ათასი წლის წინარე ხანაში, ვერ დაუბრუნებს მას იმდროინდელი რეალობის შეგრძნებას! საკმარისია მხოლოდ მოვუსმინოთ ბასკ გლეხებს ეს-პანეთში, როცა ისინი მღერიან თავიანთ ენაზე რომელიმე სახალ-სო დღესასწაულის დროს.... მოდით და ერთი წუთით დავხუჭოთ თვალი... ჩვენ ვუსმენთ ნეოლითის მწყემსებს! ჩვენ ვუსმენთ, იქ-ნებ, იმ ადამიანებს, ალტამირას რომ ხატავდნენ!“ (ალტამირა — კარსტული წარმოშობის მღვიმე კანტაბრის მთებში, ესპანეთში. აქ კედლებს ამშვენებს ზედაპალეოლითური ხანის მხატვრობა: ზუბ-

რების, ტახების, ირმებისა და სხვა ცხოველებისა, აგრეთვე უნდა რად ცხოველთა, — უნდა ვიფიქროთ, ნიღბებიანი ჯადოქრების, — ფიგურები).

სპეციალურ ლიტერატურაშიც არაიშვიათად შეხვდებით მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ბასკური სრულიად განსაკუთრებული რასის მეტყველებაა, იგი არ თავსდება ენათმეცნიერული კლასიფიკაციის არც ერთ სისტემაში და დღესდღეობით ცალკე მდგომი და უნათესავო ენობრივი ერთეულია, როგორც გადმონაშთი ძველ საუკუნეთა ეთნოლოგიური ჯგუფების ლინგვისტური სამყაროსი.

ბასკები ძველი იბერიელების (დასავლეთის) შორეულ გამონაკრთომად უნდა მივიჩნიოთ დღევანდელ მსოფლიოში.

ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავდა, რომ „იბერიული რასის“ „უკანასკნელი წარმომადგენლები დღეს ბასკები არიანო“.

ძველი დასავლეთის იბერიელები ისტორიულ ქარტეხილებს ვერ გადაურჩნენ და უამთა უკუღმართობის გამო გადაშენდნენ. მათი ენისა და ეთნიკური ვინაობის მიმანიშნებელი ცნობები, ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული, მწირია და მთლიანობას მოკლებული.

ბასკები მამაცი და მებრძოლი ხალხია, მათი მრავალსაუკუნვანი ისტორია აღსავსეა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მძაფრი ბრძოლების ეპიზოდებით. ისტორიულ წარსულში რომის ყოვლისწამლებავი ექსპანსიის შედეგად პირენეის ნახევარკუნძულზე დაემხო ძლევამოსილი იბერია, შემქმნელი ე. წ. „იბერიული ცივილიზაციისა“. ამ მხარის ინტენსიურ რომანიზაციას სასწაულებრივ მხოლოდ ბასკთა ტომი გადაურჩა და ცეცხლითა და მახვილით დღევანდლმდის შეინარჩუნა საკუთარი ენა და ეროვნული თვითმყოფადობა. თანამედროვეობის ბარბაროსებმა — ფაშისტებმა კვლავ სცადეს გაეპარტახებინათ მათ რეასიმთან შეურიგებელი „ბასკთა ქვეყანა“ და საბოლოოდ ამოეძირკვათ ისტორიაში სისხლისაგან დაწრეტილი უძველესი მცირერიცხოვანი ერი.

მაგრამ ამაყი და ბობოქარი ბასკი ქედმოუხელ-გუტეხელა და მომავლის იმედიანობით გამსჭვალული...

ბასკების იდუმალებით მოცული ისტორია საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა შეუნელებელ ინტერესს იწვევს.

„ბასკოლოგია ამჟამად მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა“  
 (აკადემიკოსი ვ. შიშმარიოვი).

ბასკების წარმომავლობისა და მსოფლიოს სხვა ხალხებთან გენეტური მიმართების პრობლემა მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

უეჭველია, რომ ბასკურ ენას ყველაზე მეტი სიახლოვე ქართველურ-კავკასიურ ენებთან აქვს.

„ამას გრძნობდნენ: ფრ. მიულერი, პ. შუხარდტი, კ. ულენბეკი, ნ. მარი... სხვადასხვა სტილისა და მეთოდის მკვლევარნი“; „კავკასიის გარეთ ბასკურია ერთადერთი ცოცხალი ენა იბერიულ-კავკასიური წრისა“ (აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა).

ბასკურისა და ქართველურ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხს „საფუძვლიანი განხილვა და დამტკიცება სჭირდება“ (აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი).

უკანასკნელ წლებში საქართველოში მტკიცე საფუძველი ეყრება ბასკოლოგიური დარგის განვითარებას:

მზადდება ბასკოლოგიური კადრები;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებულია ბასკური ენის კურსი;

უნივერსიტეტის მოწვევით საქართველოში სამუშაოდ გადმოვიდა ცნობილი რუსი ბასკოლოგ-ენათმეცნიერი იური ზიცარი (აკადემიკოს ვ. შიშმარიოვის სამეცნიერო სკოლიდან გამოსული მკვლევარი), რომელსაც დაეკისრა ახალგაზრდა სპეციალისტების ხელმძღვანელობა (ამჟამად ის ახალი ქართული ენის კათედრის წევრია);

პოლონეთიდან ორჯერ სამ-სამი თვით მოიწვიეს გამოჩენილი ბასკოლოგ-ქართველოლოგი იან ბრაუნი, რომელმაც უნივერსიტეტში წაიკითხა ბასკური ენის თეორიული კურსი;

უნივერსიტეტში შექმნილია „ბასკური ენის კომისია“;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისთან ჩამოყალიბდა „ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოება“.

ქვეყნდება სპეციალური ბასკოლოგიური ნაშრომები;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა წიგნი „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“ (არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით), რომელშიც შესულია გამოჩენილი ბასკოლოგ-კავკასიოლოგის, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო

დოქტორის რენე ლაფონის ნაშრომები. წიგნს ერთვის არნ. ჩიქო  
ბაგას ნარკვევი „ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბეჭული  
რიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“; ბასკები.  
იბეჭული წიგნები — „ბასკები და ქართველები“, „ბასკები.  
ლეგენდები და ფაქტები“;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობითა და  
მონაწილეობით შეიქმნა ღოკუმენტური ფილმი „ბასკთა ქვეყანაში“  
(რეჟისორი — სსრკ სახალხო არტისტი გ. ასათიანი):

ფართო საზოგადოებაში სისტემატურად იქითხება პოპულარუ-  
ლი ხასიათის ლექცია-მოხსენებები ბასკების შესახებ, და სხვ.

საბჭოთა საქართველოში ბასკოლოგიური კვლევა-ძების და-  
ფუძნება შემთხვევებითი არ არის: ოც საუკუნეზე მეტია ტრიალებს  
აზრი ბასკებისა და მათი წინაპრების (პირენეის იბერიულების) ქარ-  
თველურ-კავკასიურ სამყაროსთან გენეტური კავშირ-ურთიერთო-  
ბის შესახებ. ამ პრობლემას მიეძღვნა მსოფლიოს გამოჩენილ მეც-  
ნიერთა გამოკვლევები.

უწინარეს ყოვლისა, გავეცნოთ თვალის ერთი გადავლებით  
ე. წ. „ბასკურ-კავკასიურ პიბოთეზას“ (Euscaro-Caucasica)<sup>1</sup>.

ისტორიულად არსებობდა ორი იბერია: ერთი აღმოსავლეთში,  
მეორე — დასავლეთში. ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები,  
მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები აღმოსავლეთ საქართველოს  
უწოდებდნენ „იბერიას“ და მის მცხოვრებთ მოიხსენიებდნენ  
შემდეგი სახელწოდებებით: „აღმოსავლელი იბერინი“, „იბერთა  
აღმოსავლელი ტომი“, „აზიის იბერინი“. ანტიკური ხანის ავტო-  
რებმა ისიც იცოდნენ, რომ აგრეთვე არსებობს ევროპის, პირენე-  
ის ნახევარეუნდულის „იბერია“ („დასავლეთის იბერია“, „ევრო-  
პელი იბერინი“. უფრო მოვგიანებით პირენეის იბერებს „ესპანეთის  
იბერებსაც“ უწოდებდნენ).

ბერძნულ წყაროებში იბერებს მოიხსენიებენ ფილოსოფოსები  
პლატონი და არისტოტელე. პირველი მათგანი იბერებს ასახელებს  
იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომლებიც უწყლო ღვინოს სვამენ,  
ხოლო არისტოტელე ამბობს, რომ „იბერთა მეომარი ხალხი ხაფ-  
ლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს ხოლმე, რამდენი მტერიც ჰყავს

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. ჩემი წიგნი „ბასკები და ქართველები“ (იბეჭული).



მოკლული შიცვალებულსო". ცნობილი რუსი მეცნიერი აკადემიკოსი ვ. ლატიშვილი ფიქრობდა, რომ აქ სწორედ ქართველი იბერები იგულისხმებიან და არა პირენეის იბერები. ამ ცნობების მნიშვნელობა ისაა, რომ, გარდა სატომო სახელის უძველესი ხსენებისა, მერმინდელი ისტორიული ფორმით, ისინი შეიცავენ გარკვეულ ეთნოგრაფიულ ცნობებს.

ქვ. წელთაღრ. II საუკუნის მწერლის აპოლოდორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში პირდაპირი მითითებაა მოცემული იმის თაობაზე, რომ იბერები კავკასიაშიც ბინადრობენ. ცნობა შემონახული აქვს I საუკუნის ცნობილ ბერძენ გეოგრაფს და ისტორიკოსს სტრაბონს: „დასავლელი იბერები გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთს ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელთაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდ. არაქსი ყოფს“.

პირენეის ნახევარკუნძულის იბერიის წყვდიადით მოცული ისტორიიდან ზოგი რამ მეცნიერებისათვის ცხადია და ეჭვმიუტანელი. უდავოა, რომ იბერია ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნის ფარგლებში დიდ იმპერიას წარმოადგენდა და მაღალი ცივილიზაცია ჰქონდა შექმნილი. არსებობდა იბერიული დამწერლობა, რომლის ნაშთებმა ჩვენამდე მოაღწია, თუმცა მათი ამოკითხვა ძალზე ჭირს და ჯერჯერობით ამ საიდუმლოების ამოცნობა ვერ მოხერხდა.

ესპანეთში მოპოვებულია იბერიული ასოებით შესრულებული ასზე მეტი წარწერა. ისინი ამოკვეთილია ქვაზე, ტყვიაზე, ბრინჯაოზე, ვერცხლზე ანდა აღბეჭდილია საღებავებით თახის ჭურჭელზე თუ კედლებზე. ზოგი წარწერა მოიპოვება იბერიულ მონეტებზე. რამდენიმე წარწერა, როგორც ჩანს, განეკუთვნება d. წ. IV ან III საუკუნეებს. წარწერათა უმრავლესობა შესრულებულია მომდევნო საუკუნეებში, — ყველაზე გვიანდელი რომის იმპერიის პერიოდისაა. იბერიული ოლფაბეტის წარმოშობა საბოლოოდ დადგენილი არ არის. ზოგი მეცნიერი მას უკავშირებს ფინიკიურს, ზოგიც — აღრინდელ ბერძნულს. ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი პროფესორი კარლ შმიდტი (და სხვებიც) წარწერებს კელტურად მიიჩნევს. იმასაც ფიქრობენ, რომ იბერიული წერის სისტემა ადგილობრივი მოვლენაა, წინარეისტორიაში რომ გაუდგამს ფესვები, და დაკავშირებულია გეომეტრიულ ნიშნებთან, რომლებიც გამო-

ყენებული იყო წინარეისტორიულ ესპანეთში. პრობლემა, როგორც ჩანს, ძალზე რთულია.

იბერთა არქიტექტურა შემონახულია მომეტებულად ციკლოპური კედლების სახით. შემონახულია აგრეთვე სხვა არქიტექტურული დეტალები, სკულპტურის ნიმუშები, შესრულებული ფაქიზი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობით. ყურადღებას იძყრობს იბერთა საიუველირო ხელობის განვითარების მანიშნებელი რამდენიმე შესანიშნავი ჭმნილება: ოქროს დიადემა და სხვა დიადემების ნამტვრევები, რომლებიც ამჟამად ლუვრშია დაცული. გარდა ამისა, აღმოჩენილია ფერადი კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები, აღბეჭდილი ცხოველთა სურათებითა და ფიგურებით.

თანდათანობით ძველი იბერიის ტერიტორიაზე ფეხს იკიდებდნენ მოძალადე ტომები და საფრთხეს უქმნიდნენ დასავლეთ ევროპაში ერთადერთი არაინდოვროპული მოდგმის — იბერების ეთნიკურ-ისტორიულ თავისთავადობას. ადრევე შეიძრნენ იბერიის ნახევარკუნძულზე კართაგენელების, კალტების და სხვა ხალხების ტალღები. ახალი მძლავრი ეთნოლოგიური ჯგუფების გაჩენამ, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია იბერიის მოსახლეობის, იბერთა ტომების ნომენკლატურაში.

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან რომაელებმა დაიკავეს პირენეის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი და შეიძრნენ სამხრეთის რაიონებში. ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან სათავე დაედო რომაელთა ბატონობას ნახევარკუნძულზე და დაიწყო იბერიის სრული რომანიზაცია. მთელ მხარეში ლათინური ენა კრცელდება და საფუძველი ეყრება ადგილობრივი ტომების გარომაელებას.

საბოლოოდ დაემხო ოდესაც ძლევამოსილი იბერია, ევროპაში „ობლად შთენილი“ ძველი მოდგმა სისხლისაგან იწრიტებოდა და ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას ლამობდა. დიდი იმპერიის ასიმილატორული პოლიტიკის მეოხებით მცირერიცხოვნი ხალხის ბედი გადაწყვეტილი იყო, უკეთეს შემთხვევაში, იგი უნდა გათქვეფილიყო დამპყრობელ ხალხში და ამ ეთნოლოგიური შერევის შედეგად საკუთარი სახე სამარადებელი დაეკარგა.

ძველი კართაგენელები პირენეის ნახევარკუნძულს ასე უწოდებდნენ: სპანი, სპანია (როგორც ფიქრობენ, ესაა ერთ-ერთი იბერი-

ელი ტომის სახელი) და ამიერიდან მთელ ტერიტორიას ესპანეთი დაერქვა.

ამ ცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ გავეცნოთ ბასკებისა და ქართველების ნათესაობის პრობლემას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძველი დროიდან მომდინარეობს და დღეს მას ინტენსიურად იყვლევენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები.

რა თანამიმართებაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიელებს შორის, არიან თუ არა ერთმანეთის მონათესავე ქართველი და პირენეელი იბერები, თუ აქ სახელწოდებათა უბრალო დამთხვევაა — ეს კითხვა აღეძრათ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს. შემდგომ საუკუნეებში ამავე საგანზე თავისი შეხედულებები აქვთ გამოთქმული ძველ სომეხ და ქართველ მწერლებსაც. ეს საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა ახალ ევროპულ მეცნიერებაშიც.

ამრიგად, აზისა და ევროპის იბერიელთა ისტორიული, ეთნოლოგიური თუ ლინგვისტური დამოკიდებულების კვლევა საერთაშორისო მეცნიერულ პრობლემათა წყებას განეკუთვნება.

ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები ამ ორი ათასი წლის წინათ აღიარებდნენ, რომ კავკასიისა და ევროპის იბერებს შორის უთუოდ არის ნათესაური დამოკიდებულება, ოლონდ სადაცოდ იყო მიჩნეული საკითხი მათი თავდაპირველი ადგილსამყოფელის შესახებ.

მოყოლებული ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნიდან — ჩვ. ერის მეთხუთმეტე საუკუნემდე მრავალი ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი მწერალი შეეხო ამ საკითხს. აი, ესენიც: აპოლოდორი, ვარონი, პლინიუსი, სტრაბონი, აპიანე, ეგვიპტი კესარიელი, აბიდენი, მაქსიმე აღმსარებელი, ნიკიფორე ქსანთობულოსი, პრისციანე, ევსტათი, დიონისე პერიეგეტი, სოკრატე სქოლასტიკოსი, სვიდა, ატალიატე, ცეცე; ამა უნდა მივუმატოთ ძველი სომეხი ავტორი მოსე ხორენელი და სხვანი.

იბადება კითხვა: იყო თუ არა მსჯელობა ამ საკითხზე ძველ საქართველოში, იცოდნენ თუ არა ჩვენმა წინაპრებმა, რომ არსებობს მეორე იბერია დასავლეთში?

ქართული წყაროები ეჭვმიუტანლად ადასტურებენ, რომ დასავ-

ლეთის იბერიელების არსებობა ძველ საქართველოში დაბეჭითებით უკავშირდნიათ.

ჯერჯერობით VIII—IX საუკუნეზე უწინარესი ცნობები ამის შესახებ ჩვენს ისტორიას არ შემოუნახავს, მაგრამ ამ ხანიდან რომ ქართულ ენაზე არსებულ წერილობით წყაროებში ლაპარაკია ეს-პანეთის იბერიის შესახებ, ეს კი უეჭველია.

გავეცნოთ ქართულ წყაროებს.

პირველი ცნობა დასავლეთის იბერების შესახებ მოიპოვება ბასილი კესარიელის. თხზულებების უძველეს ქართულ თარგმანში. ეს არის ძეგლი, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო სახელმძღვანელოს და, როგორც ასეთი, ის აფართოებდა თვალთახედვას და მისი კომენტარები მოიცავს ფილოსოფიურ-სალგოთისმეტყველო საკითხებს, რამაც განაპირობა თხზულების ფართო გავრცელება ქრისტიან ხალხთა მწერლობაში. VIII—IX საუკუნის თარგმანი დიდი ხანი არ არის, რაც აღმოჩნდა ორი ნუსხის სახით იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კოლექციაში, იმ კოლექციის მიეროფილების პირთა შორის, რომლებიც ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკისაგან შეიძინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ.

და, აი, ამ თხზულების აღრინდელ თარგმანში, იმ აღგილას, სადაც განმარტებულია ბიბლიორი კოსმოგონია, მოხსენებული არიან დასავლეთის იბერები. როგორ იქცევა ამ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელი? დედნისეული სიტყვა „იბერები“ ქართულად გადმოტანილი აქვს არა ისე, როგორც დედანშია — „იბერები“, არამედ ასე: „ქართველნი დასავალისანი“. აი, ეს ადგილიც: „არა იყო ზოუად, რომელ არს გარეგან ღადირად, და არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე, რომელსაც ვერ მიჰყადრებენ მენავენი, რომელი-იგი გარე მოადგს ჭალაკსა ბრიტანიასასა და ქართველთა მათ დასავალისათა“. ამ ადგილის შინაარსი ასე შეიძლება გადმოვცეთ: თავდაპირველად ზოვა არ არსებობდა, ზოვა, რომელიც დღეს ღადირის მთის ირგვლივაა; არც ის შემაძრწუნებელი უფსკრული იყო, რომელსაც მეზოვაურები უფრთხიან ხოლმე, რომელიც ეკვრის ბრიტანეთის კუნძულსა და დასავლეთის ქართველებს, არამედ შემდგომ წარმოიშვა და განივრცო.

ასეა სხვა საუკუნეების ქართულ თარგმნის ძეგლებშიც: ყველ-

გან, სადაც კი დედანში აღნიშნულია დასავლეთის იბერია, ქართული ლად გადმოცემულია ამგვარად: ქართველნი დასავლეთისანზე (ან დასავლისანი).

ძველი ქართველი მთარგმნელების მიერ ესპანეთის იბერიის აღსანიშნავად შემოთავაზებული ტერმინი „ქართველნი დასავლეთისანი“ იმის მჟევრმეტყველური მოწმობაა, რომ ისინი ამ ფორმულით აღიარებენ აღმოსავლეთის იბერებისა და დასავლეთის იბერების ერთიანობა-ნათესაობას.

ამრიგად, უცხოელი ავტორების თხზულებათა ქართული თარგმანის ვერსიებში აქარად გამოსჭვივის მერვე-მეორომეტე საუკუნეების დროინდელ საქართველოში შემუშავებული მრწამსი ორი იბერიის იგივეობის შესახებ. ეჭვს გარეშეა, ევროპის იბერების მონათვლა „დასავლეთის ქართველებად“ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის უკუფენაა, იმდროინდელი ეროვნული შეგნების თავისებური ანარეკლია.

ეს კიდევ ცოტაა.

ძველი საქართველოს წარჩინებულ მოღვაწეებს გასჩენიათ იდეა — მოწყობი ექსპედიცია და გამგზავრებულიყვნენ „ესპანეთში, რათა გასცნობოდნენ „დასავლეთის ქართველების“ ცხოვრებას.

ეს იყო X საუკუნეში. როგორც გიორგი მთაწმიდელი (X I ს.) აღნიშნავს, ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა იოანე მთაწმიდელმა მოაწყო ექსპედიცია და თავის მოწაფეებთან ერთად დაადგა დასავლეთის გზას — ესპანეთისაკენ, „რამეოუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“. იოანემ ვერ მიაღწია ალთქმულ ადგილს, დიდი დაბრკოლებები შეხვდა გზაზე და უკანვე გამობრუნდა. ფაქტი თავის-თავად ერთობ საგულისხმოა.

ამ მხრივ საყურადღებოა განთქმული ევროპელი მოგზაურის უან შარდენის მოგზაურობა საქართველოში. შარდენი თბილისში ჩამოვიდა 1672 წელს. თავის ცნობილ თხზულებაში, რომელიც თარგმნილია ევროპისა და აზიის ენებზე, შარდენი საინტერესო ამბავს მოგვითხობს. იგი მიუწვევიათ ნადიმზე თეიმურაზ მეფესთან. შეხვედრისას, გვიამბობს ფრანგი მოგზაური, თეიმურაზ მეფემ მკითხა, როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათესავი — ესპანეთის

მეცე, და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი თასით შეუსვამს საღვანი მისი შესახებ, — განაგრძობს შარდენი, — თუ რანაირად უნდა ყოფილიყო ქართველი მეცე ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა: ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან. კაპუცინებს ვკითხე, როგორ ესმის-მეთქი ეს ნათესაობა თეიმურაზის. მათ მიბასუსეს, რომ კლიმენტი მერვემ თეიმურაზისადმი მიწერილ წერილებში იგი ფილიპე მეორის ნათესავად, ხოლო იბერიელები და ესპანელები მმებად მოიხსენიათ. თეიმურაზი და მისი მემკვიდრეები ამაყობდნენ კიდევაც ამ ნათესაობითო, დასძენს გამოჩენილი ფრანგი მოგზაური.

ვრცლად არის საუბარი საქართველოს და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობაზე XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის თხზულებაში, რომელსაც „მიმოსლვა“ ეწოდება. გაბაშვილმა მოიარა ბევრი ქვეყანა და საშუალება ჰქონდა გასცნობოდა იმღროინდელი მსოფლიოს განათლებულ ადამიანებს. იგი ხელებოდა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს, ფილოსოფოსებსა და მწიგნობრებს. ტიმოთეს, როგორც ფრიად განსწავლულსა და საინტერესო პიროვნებას, ყველგან დიდი პატივითა და ყურადღებით იღებდნენ. გაბაშვილი ათონის მთაზე მოგზაურობისას გაეცნ XVIII საუკუნის ერთ-ერთ უძლიერეს სასწავლო და სამეცნიერო კერას — ათონის აკადემიას და დაგვიტოვა უაღრესად საინტერესო წერილობითი ცნობები როგორც აკადემიის სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების, ასევე აკადემიის რეეტორის — ევგენი ბულგარისის შესახებ, რომელიც ავტორია თეოლოგიური და დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის შრომებისა.


ევგენი ბულგარისისთან საუბრებში გაბაშვილმა აღძრა საკითხი ქართველთა და ესპანეთის უძველეს მკვიდრთა ნათესაობის თაობაზე. როგორც ჩანს, ტიმოთეს, XVIII საუკუნის მოღვაწეს, კარგად სცოდნია ძველად შემუშავებული აზრი ქართველ-ესპანელთა ნათესაობის შესახებ. ამრიგად, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მიმქრალი და მისუსტებული ძველი საუკუნეების გამოძახილი ევროპელი და აზიელი იბერების ნათესაობის თაობაზე. გაბაშვილის მიხედვით, „ქართველი“ და „შპანიელი“ (ესპანელი) სინონიმებია.

ასეთი შენაცვლება ეთნონიმებისა სიმპტომატურია და უთუოდ იმ-  
ლირონიდელი საზოგადოებრივი აზრის ანარეკლი. ასე, მაგალითად,  
დიდი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე ამავე საუკუნისა ანტონ  
პირველიც (ბაგრატიონი) ივერიის ნაცვლად ხმარობს ტერმინ „სპა-  
ნიას“. ქართველისა და სპანიელის (შპანიელის) სინონიმურობას  
ათონის აკადემიის რექტორიც აღიარებს. ჩვენთვის ისაა საინტერე-  
სო, რომ გაბაშვილის მიერ მოცემულ შეკითხვაზე ევგენი ბულგა-  
რისი აღიარებს, რომ ქართველთა და ესპანელთა ნათესაობა ისტო-  
რიულად დადასტურებული ფაქტია (ესპანელებში ბასკები-იბერი-  
ელები იგულისხმებიან).

ასეთია ძველი საუკუნეების ცნობები ჩვენთვის საინტერესო სა-  
განზე.

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისიდან მო-  
ყოლებული ბასკურისა და ქართულის, ამასთანავე, სხვა კავკასიუ-  
რი ენების შედარებას ხელი მიჰყვეს ევროპის გამოჩენილმა ენათ-  
მეცნიერებმა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბასკურმა ენამ  
საუკუნეთა განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა და ამი-  
ტომ, უნდა ვიფიქროთ, იგი ძალიან დაშორდა იმ მდგომარეობას,  
რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყო ქართულ-კავკასიური  
ენების ფესვებთან. ჩვენ რომ მოგვეპოვებოდეს უძველესი ბას-  
კური, ანდა იბერიული ენის წერილობითი ძეგლები, დაახლოებით  
სამი-ოთხი ათასი წლის წინანდელი, მაშინ ადვილად შევუდარებ-  
დით მათ ოუნდაც ათასხუთასი წლის წინანდელი ქართული სა-  
ლიტერატურო ენის მდგომარეობას და, თუ ამ ენების ნათესაობა  
დასაშვებად მიგვაჩნია, ჩვენს ვარაუდს უფრო მყარი საფუძველი  
ექნებოდა. ამიტომ ბასკური და ქართული ენების ნათესაობა დღეს  
არ შეიძლება მივიჩნიოთ ენათა ისეთ გენეტურ მიმართებად, რო-  
მელიც აშკარა და ხელშესახებია ზედაპირული შედარების საფუძ-  
ველზე. ეს ნათესაობა უთუოდ ენის სიღრმეებში უნდა ვეძიოს.  
საფიქრებელია, აქ ღრმად დაფარულ ნათესაობასთან გვაქვს საქმე  
და მხოლოდ ფაქიზი ანალიზი გამოავლენს ამ გეოგრაფიულად საკ-  
მაოდ დაშორებული ენობრივი ჯგუფების თავდაპირველ ერთიანო-  
ბას. საფარველი, რომელშიც ბასკურ-კავკასიურის ურთიერთო-  
ბაა გახვეული, არ უნდა გვაფრთხობდეს, რამდენადაც მომავალი



ჩალრმავებული ძიებები ფარდას ახდის მრავალ საიდუმლოებას, ბასკურ-კავკასიური ენების წიაღში რომ არის ჩამარხული და ბუდებული. ამის თქმის უფლებას ჩვენ გვაძლევს ის გარემოება, რომ დღემდის მეცნიერთა მიერ მიგნებულია არა ერთი და ორი ნათესაური ნიშნები და პარალელები, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგალითად, ლაფონი გვაწვდის ოცდათხუთმეტ მორფოლოგიურ პარალელს, ულენბეკი — ორმოცდაათ ლექსიკურ შეხვედრას, ბოუდა — სამასორმოცდაათს (ამათგან ბევრი სადავოა), მარი გვთავაზობს როგორც მორფოლოგიურ, ისე ლექსიკურ დამთხვევებს (ზოგი მათგანი სავსებით გასაზიარებელია და დიდი გონება-მახვილობით აღმეცდილი), და სხვა და სხვა.

როგორც აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, „წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიახლოვე ახასიათებდა, ვიდრე ახლა ვხედავთ. ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენებში სხვაობა მცირდება, საერთო (ერთობა) მატულობს: საერთო — ძველია, განსხვავებული — ახალი“.

აյ არ შევუდგებით ბასკურ-ქართველური ენების ლექსიკურ-გრამატიკული შეხვედრების დახასიათებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა აღელვებდა და აღელვებს მრავალ ცნობილ ლინგვისტს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. აი, ეს მეცნიერებიც: ჰერვარსი, კლაპროთი, ფრიდრიხ მიულერი, პუბლოლდტი, შუხარდტი, ტრომბეტი, ულენბეკი, ვინკლერი, დიუმეზილი, დირი, ლაფონი, ბოუდა, მარი, შიშმარიოვი, ჩიქობავა, ბახოვსკაია, ბრაუნი, ზიცარი და სხვ.

მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა ბასკურ-ქართულის კვლევის დარგში ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. ის ამბობდა: „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვცდილობდი გავცნობოდი ბასკურ ენას. მაშინ მე ვხელმძღვანელობდი მხოლოდ ქართველოლოგიური მონაცემებით და ვეყრდნობოდი მხოლოდ ქართული მეტყველების მასალებსო“. მომდევნო წლებში მარი აგრძელებს სტუდენტობის დროს დაწყებულ მუშაობას ბასკოლოგიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში აგროვებს მასალებს და აქვეყნებს სპეციალურ შრომებს.

წამოყენებულია ჰიპოთეზები ძველ იბერიელთა მიგრაციის პრობლემათან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა გავიხსენოთ ძველი ბერძენი და რომელი აცტიორების შეხედულებანი კავკასიელი და ევროპელი იბერების მოძრაობის შესახებ ისტორიულ წარსულში. ეთნიკური ჯგუფების გადაადგილების მათეული გაგება მოკლებულია დამაჯერებლობას და არ სცილდება სავარაუდო მოსაზრებების ფარგლებს.

აღმოსავლეთის იბერების მომდინარეობას პირენეის ნახევარკუნძულიდან აღიარებდნენ: მეგასთენი, ევსევი, ქსანთოპულოსი, პერიეგეტი, ევსტათი, სოკრატე სქოლას ტიკოსი, ატალიატე და სხვ. პირენეის იბერების გადასახლებას საქართველოდან ვარაულობდნენ: ვარონი, პლინიუს დიდი, პრისციანი, მაქსიმე აღმსარებელი და სხვ.

დასავლეთის იბერების (ბასკების) პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხთან დაკავშირებით მიგრაციის ვარაუდს გამოთქვამდნენ ცნობილი ენათმეცნიერები და ისტორიკოსები.

---

ჩვენში ბასკოლოგიური კვლევა-ძიების გაღრმავებამ დაბადა აუცილებლობა, მეცნიერული კონტაქტები დაგვემყარებინა საზღვარგარეთის ბასკოლოგიურ ცენტრებთან და იმ ცნობილ სპეციალისტებთან, რომლებიც იკვლევენ ბასკების ენას, კულტურას, ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ანთროპოლოგიას და სხვ.

ამ მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტმა 1977 წლის ივლისში ესპანეთში მიავლინა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ამ სტრიქონების ავტორი (დელეგაციის მეთაური), პროფ. ი. ტაბაღუა და ვ. ბონდარენკო (რომანული ენების, კერძოდ, — ესპანური ენის მცოდნე, კომიტეტის მუშავი).

დელეგაციის მივლინების ვადა განისაზღვრა ათი დღით. მას დაეკისრა მეტად საპასუხისმგებლო მიზან-ამოცანები. ეს არის ახალ პირობებში პირველი დელეგაცია საბჭოთა მეცნიერებისა ესპანეთის სახელმწიფოში; მისი საქმიანობა უნდა წარმართოულიყო, საერთოდ, საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის კულტურული თანამშრომლობისა და მეცნიერულ ურთიერთობათა დამყარების ასპექტებში. ამასთანავე ჩვენი ერთ-ერთი საპატიო მიზანი იყო — გაგვეცნო უცხოელი კოლეგებისათვის მეცნიერული და კულტუ-



რული მიღწევები, მოპოვებული საბჭოთა საქართველოში ადგილო  
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავზე.

დელეგაციას მაღრიდის აერობორტში შეხვდნენ საბჭოთა საელ-  
ჩის წარმომადგენლები, მეცნიერები, პრესის მუშაკები. მოგვა-  
თავსეს სასტუმრო „იმპერატრიცში“ და იმავე საღამოს მიგვიწვი-  
ეს ჩვენთვის გამართულ ბანკეტზე მაღრიდის ერთ-ერთი დიდი  
ფირმის („საგარეო-ინვერსიული გენერალური კომპანიის“) დირექ-  
ტორის ხუან გარიგეს სახლში, სადაც თავმოყრილი იყვნენ ფირმის  
პასუხისმგებელი მუშაკები, კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა სა-  
ელჩის მრჩევლები და გაზეთების კორესპონდენტები. აქ გაიმართა  
საუბარი ქართველი ხალხის წარსულისა და თანამედროვე მდგო-  
მარეობის შესახებ, ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტუ-  
რის განვითარების საკითხებზე, ბასკებისა და ქართველების ნათე-  
საობის თეორიაზე და სხვ. მაღრიდის ცენტრალური პრესის კო-  
რესპონდენტის ი. ტაბაღუამ და ამ სტრიქონების ავტორმა მივეცით  
ინტერვიუ დელეგაციის მიზან-ამოცანების თაობაზე.

მაღრიდში. შემოგვთავაზეს დელეგაციის მუშაობის ვრცელი  
პროგრამა, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა მეცნიერებისა და  
ტექნიკის კომიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმას. გა-  
მოირკვა, რომ პროგრამის განხორციელებას მოუნდებოდა არა ათი  
დღე, არამედ, სულ ცოტა, ორი კვირა. მეორე დღესვე საბჭოთა  
საელჩომ აღძრა საკითხი ჩვენი მივლინების ვადის გაგრძელების  
შესახებ.

საბჭოთა საელჩო დიდ გულისხმიერებას იჩენდა დელეგაციის  
მიმართ და ყოველნაირად ცდილობდა, რომ ჩვენი მუშაობა ნაყო-  
ფიერი ყოფილიყო.

საბჭოთა ელჩი ამს. ბოგოლუბოვი, რიგიანად განსწავლული ის-  
ტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებში, გვესაუბრება ბასკურ-ქარ-  
თული პრობლემის გარშემო, მან გვითხრა, რომ ქარგა ხანია დაინ-  
ტერესებულია ამ თეორიით და აღვითქვა, ყოველგვარ პირობებს  
შეგვიქმნიდა მუშაობისათვის. დიდ დახმარებას გვიწევდნენ საელ-  
ჩის მრჩევლები, კულტატაშე იგორ ივანოვი (დელით ქართველი)  
და სხვ.

მაღრიდში, უწინარეს ყოვლისა, შევხვდით ესპანეთის სამეფო  
აკადემიის წევრებს ითანხმო კალვაო-სოლეტოს მეთაურობით. ვავე-

ცანით აყადემიის სტრუქტურას, ვრცლად ვისაუბრეთ ჩეენთვის სა  
ინტერესო საგანზე. მე და ი. ტაბაღუამ მოკლე ინფორმაცია მიმდინარე  
წოდეთ ქართული საბჭოთა სამეცნიერო მიმართულებების შესახებ,  
დაგახსასიათეთ ქართველი ფილოლოგების, ისტორიკოსების, არქე-  
ოლოგების, ეთნოგრაფების ძირითადი ზოგადი მიღწევები, ვისა-  
უბრეთ სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლის საკითხებზე და სხვ.

ამასთანავე ვეცნობოდით მაღრიდის უდიდეს წარმოება-დაწე-  
სებულებებს, ესპანეთის გამომცემლობათა გაერთიანებას, საჯარო  
ბიბლიოთეკას და სხვ. ცველგან დიდი გულისყურით გვეკიდებოდ-  
ნენ და ჩვენი საუბრის მთავარ თემას საბჭოთა საქართველოს წარ-  
მატებები, ქართული მეცნიერების განვითარება წარმოადგენდა.

ესპანეთის ინტელექტუალურ წრეებში საქმაოდ არის შეღწე-  
ული საუკუნეთა სილრმეში შემუშავებული ვარაუდი ქართველურ-  
კავკასიური მოდგმის ხალხებთან ბასკების დაკავშირების შესახებ.

აქვე აღსანიშნავია შემდეგი: საერთოდ, ესპანეთის პოლიტი-  
კურ და კულტურულ წრეებში (ბასკთა ქვეყანაზე რომ არაფერი  
ვთქვათ) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბასკური წარმოშობის  
თანამდებობის პირები. ესენი არიან უმთავრესად გაესპანელებული  
ბასკები, რომელთა უმრავლესობას დედაენა დავიწყებული აქვს,  
მაგრამ არ შეიძლება არ გაესვას ხაზი მათს პატრიოტულ სულის-  
კვეთებას, რაც განსაკუთრებით მულავნდებოდა ჩვენთან შეხვედრე-  
ბისა და ურთიერთობის პირობებში; ამ დროს მათი გულწრფელო-  
ბა მაქსიმალურ საზღვარს აღწევდა. ერთმა სიმპათიურმა ბასკმა  
(სპეციალობით ინჟინერმა), გრძნობამორეულმა, ისიც მითხრა  
რომ ჩვენ, ბასკები, უნათესაონი ვართ მსოფლიოში და, თუ სადღაც  
კავკასიაში ჩვენი მოდგმა აღმოვაჩინეთ, ეს აღტაცებას იწვევსო; ამ  
პრობლემისადმი ინტერესის აღმოჩენის ფესვი ჩვენთან და თქვენთან  
აქ უნდა ვეძიოთო.

მთელი ჩვენი მოგზაურობა ბასკეთში, საერთოდ, აღსავსე იყო  
ლირიკული პასაუებითა და ბასკ-ქართველების შესაძლო ნათესაო-  
ბის იდეით გამოწვეული ემოციურობით...

ჩვენმა მასპინძლებმა მოგვატარეს ესპანეთის ძველი ქალაქე-  
ბი — ტოლედო, ესკორიალი, სეგოვია და სხვ., რომლებიც მაღრი-  
დის ახლომახლო მდებარეობენ.

ტოლედო (ტოლეტუმ) ძველად იბერიული ტომის — კარპეტანე-



ბის სამფლობელო იყო, რომელიც II საუკუნეში (ძვ. წელთაღრ.) რომაელებმა დაიპყრეს. VI საუკუნის შუა ხანებში ვესტგოთების სახელმწიფოს სატახტო ქალაქს წარმოადგენდა. შემდეგ აქ არაბები გაბატონდნენ. 1085 წელს ოოლედონ კასტილიისა და ლეონის დედაქალაქად გამოცხადდა, 1409 წლიდან კი გაერთიანებული ესპანეთის დედაქალაქია. 1561 წელს უკვე მაღრიფია მთელი ესპანეთის დედაქალაქი. XX საუკუნეში ოოლედონ იქცა ძევლი ეროვნული ხუროთმოძღვრების ნაკრძალად, ახალშენებლობანი თითქმის შეწყდა და, ამრიგად, ქალაქმა შეინარჩუნა შუა საუკუნეების მქვეთრი ელფერი.

ესკორიალში განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს XVI საუკუნის სასახლე, ფილიპე მეორის დროინდელი. აქვე, მონასტერები, მოთავსებულია ესპანეთის მეფეთა საძვალე. მიქელანჯელო ამ დროს ცოცხალი აღარაა, სასახლის არქიტექტურულ გაფორმებაზე კი ბევრი უმუშავიათ მის სახელოვან მოწაფეებს. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ, ნაცვლად ბალზამირებისა, შემოულიათ გვამების მოთავსება სარკოფაგებში. ამ პროცედურისათვის საგანგებოდ გამოყოფილია ბნელი საკანი, საღაც ნეშტი იხტენებოდა, სულ ცოტა, ათი წლის განმავლობაში. ერთი ნეშტი სამასი წლის შემდეგ გადაუტანიათ ურნაში და ისე მოუთავსებიათ სარკოფაგში.

დავათვალიერეთ სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს წიგნთსაცავად ითვლება. აქ დაცულია უნიკალური ნაბეჭდი წიგნები და ხელნაწერები. ბიბლიოთეკას საფუძვლად დასდებია ფილიპე მეორის პირადი წიგნები (რამდენიმე ათასი), მეფის ბრძანებით შეძენილი სხვადასხვა ქვეყნის სწავლულთა კოლექციებიდან. ინტერესს იწვევს იტალიაში ესპანეთის ელჩის კოლექცია, რომელიც შეიცავს უმთავრესად იტალიური წიგნებისა და იშვიათი გამოცემების ეგზემპლარებს (რამდენიმე ათასი ტომი). ამათ ემატება არაბული და ებრაული წიგნები და ხელნაწერები. არაბულ-ებრაული წიგნადი ფონდის ისტორია ასეთია: ესპანელებს ხელთ ჩაუგდიათ ხმელთაშუა ზღვაში იშვიათი წიგნებით დატვირთული მაროკოს სულთნის ორი გემი, რომელთა კაპიტანი ერთი სახელგანთქმული ბასკი მეზღვაური ყოფილა. ბიბლიოთეკაში დაცულია პერგამენტზე დაწერილი და ძვირფას ტყავ-

ში ჩასმული შესანიშნავი მინიატურებით შემკობილი ხელნაწერები ბი. ილუსტრაციები რენესანსის ეპოქის უბრძყინვალესი ნიმუშები ბია და შესრულებულია რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის, მი-ქელანჯელოსა და სხვა დიდებული ოსტატების მიერ. აქვეა XIV საუკუნის ილუსტრაციები ბიზანტიის დროისა. როგორც გვითხრეს, ესკორიალის ბიბლიოთეკას მსოფლიოს უმდიდრეს ბიბლიოთეკათა შორის მეორე ადგილი უკავია ნაბეჭდი გამოცემებისა და ხელნაწე-რების ღირებულების თვალსაზრისით.

ი. ტაბაღუა ფიქრობს, რომ ბიბლიოთეკაში შეიძლება მიგად-ლიოთ მასალებს საქართველოს შესახებ. საამისო ნიშნები გამოვ-ლინდა საუბარში, რომელიც გაგვიმართა იქაურმა თანამშრომელმა. აუცილებელია მომავალში გადაიდგას ნაბიჯები ჩვენთვის საინტე-რესო ფონდების გამოსაკვლევად.


მაღრიდში ექვს დღეს დავყავით და შემდეგ გავემგზავრეთ ჩრდილოეთ ესპანეთისაკენ — ბასკების ქვეყანაში, პირენეის მთე-ბის მიმართულებით.

„პირენეი“ ბასკური სიტყვაა წარმოშობით (pyren—მთა).

ბასკები კომპაქტურად ცხოვრობენ ჩრდილოეთ ესპანეთში, საფრანგეთსა და ლათინურ ამერიკაში. ისინი ძირითადად განლაგე-ბული არიან პირენეის მთების დასავლეთ ნაწილში, კანტაბრის მთე-ბის ორივე კალთაზე და ბისკაის ყურის სამხრეთ სანაპიროზე. საფ-რანგეთ-ესპანეთის საზღვარი, რომელიც გადის პირენეების თხემ-ზე, ბასკთა ტერიტორიას ყოფს ორ, არათანაბარ ნაწილად: სამხ-რეთის ნაწილი უფრო დიდია და მოქცეულია ესპანეთის სახელმ-წიფოს საზღვრებში, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი საფრანგეთის სა-ხელმწიფოშია.

ესპანეთში ბასკებს უკავიათ შემდეგი პროვინციები: ბისკაია (მთავარი ქალაქი — ბილბაო), გიბუსკოა (მთავარი ქალაქი — სან სებასტიანი), ალაგა (მთავარი ქალაქი — ვიტორია), ნავარა (მთა-ვარი ქალაქი — პამპლონა).

ესპანეთის აღმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ბისკაის, გიბუსკოის და ალაგის პროვინციები ქმნიან ოლქს, რომელსაც ეწოდება „ბასკების ქვეყანა“, ანუ „ბასკონია“, ბასკურად — „ეუ-კადი“. ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული მხარე ჩრდილოეთ ესპანეთში, ბისკაის ყურის სანაპიროებთან. ესპანეთ-



ში ცხოვრობს 800 ათასამდე, საფრანგეთში — 130 ათასამდე, ლაზები თინურ ამერიკაში — 250 ათასამდე ბასკი.

ჩრდილოეთ ესპანეთში მოგზაურობისას, — გარდა იმისა, რომ ყოველ ქალაქში ჩვენი მასპინძლები იყვნენ გარკვეული პირები და ორგანიზაციები, — თან გვახლდნენ მაღრიღის პასუხისმგებელი მუშაქები (გენერალური დირექტორი და სხვ.), რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

პირელი ბასკური ქალაქი, სადაც ჩვენ რამდენიმე დღე დავყავით, პამპლონაა — ნავარის ცენტრი (მდებარეობს არაგონის შენაკადის მდინარე არაგის დაბლობში). პამპლონა საუნივერსიტეტო ქალაქია და წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრს (აქ განვითარებულია ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და სხვ.).

პამპლონაში ჩვენთან ერთად გამოემგზავრა ლუის სანგინო, რომელსაც დაეყისრა დელეგაციის მეგზურობა ნავარის მხარეში. სანგინო შესანიშავი ესპანელი მოქანდაკეა, რომლის სახელი კარგად არის ცნობილი მთელ ესპანეთში. მისი ნამუშევრების გამოფენები დიდი წარმატებით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებში. მაღრიღის სანგინოს სახელოსნო ჩვენ ორჯერ მოვინახულეთ; აქ წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვრული წარმოსახვის იშვიათი უნარითა და ვირტუოზული ოსტატობით აღბეჭდილი ქვაში კვეთილობის უბრწყინვალესი ნიმუშები. ლუის სანგინომ უხვად დაგვასაჩუქრა თავისი ნამუშევრების რეპროდუქციებითა და ალბომებით.

ჩვენ ბედს უნდა უუმაღლოდეთ, რომ სწორედ იმ დროს მოგვიხდა პამპლონაში ჩასვლა, როდესაც იწყებოდა მთელ მსოფლიოში ცნობილი ბასკური შეიდდლიანი (7—14 ივლისი) დღესასწაული „სან ფერმინის“ (წმინდა ფერმინის) სახელწოდებით. ამ დღესასწაულს რელიგიური სარჩული აქვს, მაგრამ იგი დროთა ვითარებაში საერთო-სახალხო ეროვნულ დღესასწაულად გადაქცეულა, სადაც გამოვლენილია ბასკების უძველესი ადათ-ჩვეულებანი და ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებები.

სან ფერმინი გრანდიოზულობით, იმპროვიზაციით, რიტუალური ფორმების მრავალფეროვნებით და არქაული ეროვნული

ამ დღეებში ნავარაში ჩამოდის აურაცხელი ხალხი არა მხოლოდ ესპანეთის ყველა კუთხიდან — კასტილიიდან, ანდალუზიდან, კატალონიდან, მთელი ბასკონიიდან, არამედ ევროპის, ამერიკის, აზიის ქვეყნებიდანაც. სასტუმროები ექვსი-შვიდი თვით ადრეა დაკავებული, ქალაქის გარეუბნები მოფენილია კარვებითა და საცხოვრებელი ავტომანქანებით.


სან ფერმინის დღესასწაულზე დასასწრებად პამპლონაში ყოველწლიურად ჩადიოდა ჰემინგუეი (მას ომანაში „და ამოდის მზე — ფიესტა“ მთელი პასაუებია მოცემული პამპლონის დღესასწაულისა). დღეს ქალაქის ცენტრალურ ადგილის აღმართულია დიდი მწერლის ძეგლი, რომლის ავტორია ჩვენი მეგზური მოქანდაკე ლუის სანგინო...

პირველი თავისებურება ამ დღესასწაულისა ის გახლავთ, რომ შინ არავინ რჩება, გარდა ავაღმყოფებისა და ჩვილი ბავშვებისა; მთელი ქალაქი გამოსულია ქუჩებში, სადაც თავისუფლად გვლა შეუძლებელია; სახალხო ღრეულია ღამითაც არ ცხრება, ძილი გამკრთალია, გამოენისას აქა-იქ თუ ნახავთ ქვაფენილებზე ერთი-ორი საათით მიძინებულ ახალგაზრდებს; მთელი პამპლონა დაუსრულებელ გუგუნს მოუცავს; მოზეიმენი სან ფერმინისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი, ჯგუფ-ჯგუფად მოედინებიან, ძველ ბასკურ სიმღერებს ასრულებენ და გაუთავებლად ცეკვავენ; ცეკვავენ ჯგუფურადაც და ინდივიდუალურადაც.

ჰემინგუეის არ იყოს, ხალხსიმრავლეში მოჩანან მოცეკვავეთა მხოლოდ მხრები და თავები.

ბასკებს კი ცეკვა ძალიან უყვართ და განსაკუთრებით აქ მოგაგონდებათ ვოლტერის ცნობილი თქმა: ბასკები ის ხალხია, რომელიც პირენეების მთებში ცხოვრობს, — ცხოვრობს კი არა, ცეკვავს!

გამოჩენილი კომპოზიტორი, სან სებასტიანის კონსერვატორიის დირექტორი და კათედრის გამგე ფრანცისკო ესკუდერო თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ ბასკურ ცეკვებს გავლენა მოუხდენია კლასიკურ ბალეტზედაც. ყოველმა სტუდენტმა იცის ორი საცეკვაო ილეთი, მომდინარე ბასკური ხალხური ცეკვებიდან, ესენია: „Pas de Basque“ და „Saut Basque“. ასევე, კლასიკური ბალეტის



„Tour en L'air“ და „Entrechate“, ბასკური ფოლკლორიდან, მო-  
დის, — სხვა ხალხების ფოლკლორისათვის ეს ილეობი უცნობია.

ამ გარემოებას თავისი ისტორიული ახსნა მოეპოვება: 1661 წელს  
ლუდოვიკ X IV-მ პარიზის ოპერასთან დაარსა ცეკვის სამეფო  
აკადემია, რომელიც უძველესია მსოფლიოში. აკადემიის საარქივო  
მასალების მიხედვით კი ირკვევა, რომ პარიზის ოპერის შექმნის  
პირველსაც წელს საბალეტო ჯგუფი შედგებოდა 25 ბასკი მოცეკ-  
ვავისაგან (ესენი იყვნენ მხოლოდ მამაკაცები, — ქალები კი საერ-  
თოდ არ მონაწილეობდნენ ბალეტში, მათ ყმაწვილები ცვლიდნენ).  
და, საერთოდ, ბასკები ყოველთვის და ყველგან განთქმული იყვ-  
ნენ, როგორც საბალეტო ნომრების უბადლო შემსრულებლები.

მარია სტიუარტსაც ჩამოყალიბებია ბასკ მოცეკვავეთა ჯგუფი  
სასახლის კარზე ედინბურგში...

უნდა ვიფიქროთ, ამ გზით შეიჭრა კლასიკური ბალეტის სტრუქ-  
ტურაში ბასკური ხალხური ცეკვების დაცვეშილი ილეობი.


სტიური ღრეობის პარალელურად სან ფერმინის ზემში ყუ-  
რადღებას იპყრობს ორგანიზებული დემონსტრაცია ქალაქის ცენ-  
ტრალურ ქუჩებში და მოედნებზე. სასულე ორკესტრის თანხელე-  
ბით მოაბიჯებენ გრიმიანი პერსონაჟები, რომლებიც განასახიერე-  
ბენ ძველი ბასკეთის მმართველებს, სხვადასხვა სოციალური წრის  
წარმომადგენლებს. ცალკე არიან ნილბოსნები, რომლებიც კომი-  
კურ სიტუაციებს ქმნიან და სიუჟეტურად შეკრულ მარტივ სცე-  
ნებს ასრულებენ. ამ ცერემონიალში ზოგი რამ ჩვენი ყენობის  
მსგავსია.

სან ფერმინის სული და გული კორიდაა — ხარებთან შერკინე-  
ბა, რაც ყოველდღიურად იმართება.


საერთოდ, ესპანეთში ხარებთან ბრძოლის რიტუალური პროცე-  
სების, ხარის კულტის არსებობის ძირი და ფესვი ბასკურ სამყა-  
როს უკავშირდება. სახელგანთქმული ჩეხი მეცნიერი პრიზნი  
მუნებოდა. რომ ხარებთან შერკინება ერთგვარი გამოძახილია გილ-  
გამეშის შუმერთა გმირების ხარებთან ბრძოლის ტრადიციისა (ამ  
ბრძოლების სცენები სამარადუამოდ აღმოჩენილია შუმერულ-ბაბი-  
ლონურ ძეგლებზე — მხატვრული განსახიერება აღამიანისაღმი  
ხარის დამორჩილებისა). ეს რიტუალები ხმელთაშუა ზღვის გავ-  
ლით შეიტანეს კავკასიელმა ტომებმა პირენეის ნახევარკუნძულ-




ქალაქი სან სებასტიანი, სანაპირო.




Ճայուղի և լուսական համակարգը



Ռուբեն Մատովի պատկերը (X դար), Տաթև



Ճակատի նօլո.




ଦାସ୍ତଖରି ଏଣିର ଏକାଦଶମିନୀର ନ୍ଯେଗରି ଶାଶ୍ଵତ କୀନ୍ତୁଳନା,  
ରହମେଲିପି ତାରଗମନିର „ବ୍ୟୋଜକୋସର୍ବପ୍ରାଣସାନ୍ତି“ ଦାସ୍ତଖର ଏନାହେ  
(ଓରୁରୁସାଲାମଶି — ରୁଷଟାଙ୍ଗେଲିର ଫରୁଶ୍ଯାସତାନ).

ზეო, — ასეთია დღიდი ავტორიტეტის ვარაუდი. ბასკები კი, პროზა-ნის კონცეფციით, კავკასიიდან წასული ხალხია (ბასკურ ენას იგრძელი მიიჩნევდა კავკასიური და ქამიტური ენების ნარევ ფენომენად).

თუ დღიდი მეცნიერის პროზნის მოსაზრება კორიდის კავკასიურ-მცირეაზიური წარმომავლობის თაობაზე სწორია, მაშინ შესაძლოა მნიშვნელობა პქონდეს იმ გარემოების გათვალისწინებას, რომ ამ რიტუალის უძველესი ფორმები გადმონაშთის სახით საქართველო-შიცაა დადასტურებული. გავეცნოთ ქართულ ანალოგიებს.

აღიარებულია, რომ გვიანდელ ხანაში კორიდის ფორმები თან-დათანობით დაიხვეწა და არის სტოკიატული ფენის გართობის ხასი-ათი მიეკა. ადრე კი ხარებთან თამაშის ცერემონიალი აგრძარულ-რელიგიური კალენდრის წლიური ციკლიდან გაზაფხულის შეხვედ-რისაღმი მიძღვნილ დღესასწაულებში იყო წარმოდგენილი. სწო-რედ ამგვარი რიტუალია დადასტურებული ქართველ მთიელთა ეთ-ნოგრაფიულ ყოფაში (ვემყარები ვ. ბარდაველიძის, ი. მეგრელი-ძის მასალებს, განსაკუთრებით ვ. შამილაძის სპეციალურ გამოკვ-ლევას).

ზემო აქარის ზოგიერთ ხეობაში ფრაგმენტულად დაცულია ე. წ. „ბულიების ჭედობის“ წესი. საბუღე ხარს საგანგებოდ უვლიდნენ და წვრთნიდნენ. ხართა შეჯიბრებისათვის გამოყოფილი ჰქონდათ სპეციალური აღილები — მოედნები. „ბულიების ჭედობა“ ერთ კვირას გრძელდებოდა (გავიხსენოთ: ბასკეთში, პამპლონაში, კორი-და ერთ კვირას გრძელდება!). ასევე ყოველწლიურად ტარდებოდა ხარების ბრძოლა სვანეთში. მოედანს ირგვლივ გარს ერტყმოდა ხალხი, ბრძოლის წინ ხარებს არაყს ასმევდნენ, აღიზიანებდნენ და აქეზებდნენ ერთმანეთზე. ამ წეს-ჩვეულების განვითარების დიალექტური გენეზისის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია სა-მეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადგენილი ბუღასთან ადა-მიანის შეჯიბრების, ე. წ. „კურულის“ წეს-ჩვეულება. მოე-დანზე დაბმულ ხარს ორი მამაკაცი აღიზიანებდა. ხარს ხელს ახებ-დნენ რქებზე, ყურებზე, წინა მხრებზე და ზურგზე. შემდეგ აუშ-ვებდნენ ხარს და მასთან რჩებოდა ერთი მამაკაცი, რომელიც ცდილობდა იგი შეებოჭა და წაექცია. ხართან ბრძოლის ცერემო-ნიალის ერთგვარი გამოძახილი შეიგრძნობა უთუოდ აკაკი წერეთლის ცნობილ მოთხრობაში „დათუნა გოცირიძე“.



საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი კორიდის საწყისი ფორმები ეხმიანება ხმელთაშუა ზღვის არეალში დადასტურებულ ძეგლისძველ წეს-ჩვეულებას, რომლის განვითარების რაფინირებული და თეატრალიზებული სახეობა დღევანდელ ბასკურ კორიდა-შია წარმოდგენილი. ბასკურ თეატრალურ პროცედურაში ადვილად ამოიცნობს კაცი ხარებთან ბრძოლისა და, საზოგადოდ, ხარის კულ-ტის თავდაპირველ მაგიურ-რელიგიურ ექსტრაზეს.

ამ საკითხს ვერ გავალრმავებ (არ შევეხები, მაგალითად, კრეტა-მიკენის კულტურისათვის დამახასიათებელ ანალოგიურ წესებს და სხვა). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ხმელთაშუაზღვეთსა და ესპანეთ-ში გავრცელებული ხარის კულტის საკითხებს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ კორიდის ცერემონიალი დაფუძნებულია სწორედ ხარის კულტზე და იგი დასავლეთში პირენეებიდან გავრცელდა. პირენეის ნახევარკუნძულიდან (ე. ი. დასავლეთის იბერიიდან) კორიდის ცერემონიალი მემკვიდრეობით მიიღეს ამ ტერიტორიაზე მოსულმა ხალხებმა — ჯერ რომაელებმა, შემდეგ ესპანელებმა (ესპანეთიდან გავრცელდა პორტუგალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, გვიან — XVI საუკუნეში — ლათინურ-ამერიკაში, ევროპელთა კოლონიზაციის შედეგად). „კორიდა“ ესპანური სიტყვაა (Corrida de toros, ე. ი. ხარების რბოლა). აქ ჩვენთვის ისაა საყურადღებო, რომ პირენეებს ნახევარკუნძულზე რომაელების გაბატონებამდე ხარის კულტის სწორედ ისეთი ძველი ფორმები იყო ნიშანდობლივი, როგორიც დადასტურებულია საქართველოს მთიანეთში და ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ რეგიონში. ბასკონიის მთელ რიგ სოფლებში გადმონაშოთის სახით დაცულია ხარის მონაწილეობა ადგილობრივ რელიგიურ დღესასწაულებში. ამ დროს ხარს, როგორც წესი, ღვინოს ასმევენ (სვანეთში კი — არაც). ისიც საინტერესოა, რომ ხარის რქისაგან ამზადებდნენ ღვინისა და წყლის სასმისებს (შეადარე ჩვენებური ყანწი). ესეც ხარის კულტის გაღმონაშოთა, როგორც აღნიშნავს მკვლევარი ხულიო კარო ბაროხა. (გავრცელებული ყოფილა რომაელთა შემოსევებამდე, III საუკუნემდე ძველი წელთაღრ.).

რომაელებს თურმე ძალიან მოსწონდათ ხარებთან ბრძოლის იბერიული ტრადიცია და ამ ცერემონიალს ხშირად იყენებდნენ საცირკო მოედნებზე. იულიუს კეისარი პირველი იყო, რომელმაც:

რომში მოაწყო ხარებთან შერკინების სანახაობა. რომის იმპერატორ-  
მა ტიბერიუს კლავდიუსმა გამართა გრანდიოზული სპეციალული  
რომელშიც პირენეელი იბერიელებიც იღებდნენ მონაწილეობას.  
თესალიერი მხედრები ერკინებოდნენ ხარებს, ხოლო იბერიელთა  
მოვალეობას შეადგენდა — პირენეელთა წესისამებრ — საგანგებო  
დანიშნულების ტყავების ფრიალით მოეგერიებინათ გაშმაგებული  
ხარები. ასე დამკვიდრდა ეკროპაში კორიდის ტრადიცია, რომლის  
ფესვები, როგორც დავრწმუნდით, ძველ იბერიელთა ყოფაში იყო  
გადგმული.

ჩვენ დავესწარით კორიდის სანახაობას ორჯერ. ქალაქის გარე-  
უბნიდან გამორბიან დაფეხებული ხარები ვიწრო ქუჩის გავლით სა-  
ცირკო მოედნის მიმართულებით. ქუჩაზე ჩაყოლებული მრავალ-  
სართულიანი სახლების აიგნები სავსეა მაყურებლებით, რომლებიც  
ზემოდან გადასცერიან ამ საოცარ პროცესიას. ჩვენ მოგვათვასეს  
ქალაქის ხელისუფალთა და საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილ  
აიგანზე. ხარებს გამაყრუებელი ყიუინითა და ურიამულით მოს-  
დევენ ახალგაზრდები, ისინი ერთმანეთში ირევიან და ამ ექსტაზით  
შეპყრობილთა პროცესიაში ადამიანის მსხვერპლის მოწმეც გავხ-  
დით. სან ფერმინის დღეებში ხარებმა ოთხი ახალგაზრდა გადათე-  
ლა. მათი სურათები გაზეთებში მოათავსეს. გაზეთებში გამოკვეყნ-  
და აგრეთვე ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დღესასწა-  
ულის დროს დაღუპული ახალგაზრდების პროტრეტები.

შემდეგ კორიდისაკენ გავეშურეთ და ვნახეთ მატადორების ბრძო-  
ლა ექვს ხართან. განსაკუთრებით ისახელა თავი მატადორმა რუ-  
ის მიგელ ფრანცისკომ, რომელიც მთელ ბასკონიაში დიდი სიყვა-  
რულითა და პოპულარობით საჩვენებლობს.

ჩვენი თანმხლები მოქანდაკე ლუის სანგინო სიურპრიზების  
მოყვარულია: კორიდიდან წაგვიყვანა ერთ ძველ კაფე-ლუდხანაში,  
რომლის მუდმივი სტუმარი ჰემინგუეი ყოფილა, გაგვაცნო ლუდ-  
ხანის პატრონი (დიდი მწერლის მეგობარი) და ერთ საკნის მსგავს  
ოთახში შეგვიყვანა. აქ სანთლები ენთო და ხარებთან ბრძოლის შე-  
დეგად სისხლში ამოსვრილი, დაჩოქილი მატადორი, დღევანდელი  
კორიდის გმირი, ღმერთს მადლობას სწირავდა მშვიდობით გადარ-  
ჩენისათვის. ლუის სანგინომ მას ჩერენი თავი გააცნო. მეც მივმარ-  
თე თრთოდე სიტყვით საჭელოვან მატადორს რომლის თვალებში

ამოვიკითხე მოულოდნელი სტუმრობით გამოწვეული ერთგვარი გაყვირვებაც და მაღლიერებაც...

პამპლონის დღესასწაულზე დასწრებამ ბევრი რამ მოგვცა. სან ფერმინი ერთგვარი ფოკუსია, სადაც, როგორც ზემოთაც ითქვა, თაგს იყრის ბასკური წეს-ჩევეულებები, ეთნოგრაფიული თავისებუ-რებები, არქაული რიტუალური პროცესები, მუსიკალური ფოლკ-ლორის მრავალფეროვნება, ხალხური პლატიკური ხელოვნების ნაირნაირი ფორმები, ეროვნული ფსიქოლოგიისათვის დამახასია-თებელი დეტალები. შეეხვდით სხვადასხვა სოციალური ფენის წარ-მომადგენლებს და ა. შ.

სამწუხაროდ, დღესასწაულმა ხელი შეგვიშალა და არ შედგა წი-ნასწარ დაგეგმილი შეხვედრა პამპლონის უნივერსიტეტში, მაგრამ მაინც მოხერხდა გაგვეცნო ნავარის რამდენიმე მეცნიერი და კულ-ტურის მოღვაწე.

მიგვიწვიეს გამოჩენილი ბასკი მხატვრის ეშაურის სახელოსნო-ში, სადაც გამოფენილია შესანიშავი სურათები და სკულპტურუ-ლი ნამუშევრები. ეშაური ორიგინალური მხატვარია, უმთავრესად პეიზაჟისტი. მან გვითხრა, რომ იზიდავს „მარადიული თემები, წარ-მავალს კი ყურადღებას არ აქცევს“, ამიტომ მის შემოქმედებაში გამორიცხულია კონკრეტული სიტუაციების, „კონკრეტული პეი-ზაჟების“ ასახეა. ადამიანი კი მხატვრის სურათებში, როგორც წე-სი, წარმოდგენილია ბუნების ფონზე, როგორც მისი ნაწილი, იგი უსაკოა და არც სქესის ნიშნებითაა აღბეჭდილი. ეს პრინციპი და-საბუთებული ყოფილა მხატვრის თეორიული ხასიათის წერილებ-შიც. ეშაურიმ დაგვასაჩუქრა თავისი ქმნილებების რეპროდუქციე-ბით. ინტერესმოქლებული არ არის, რომ მან ყურადღება გაამახვი-ლა ჩემი და თავისი გვარის დაბოლოებათა—ური—მსგავსება—ერთი-ანობაზე. სხვათაშორის, ამ საკითხს პირველად შეეხო პროფ. მა-ნუელ დე არანეგი გაზეთ „ნორტე ექსპრესისათვის“ დაწერილ წე-რილში (ამ სტატიის ნაწყვეტები დაბეჭდიდა უურნალში „Техника молодежи“, № 6, 1975 წ.). აქ ნათქვამია: „შეუძლებელია ყურად-ღება არ მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ მრავალი ბასკური გვარი იდენ-ტურია ქართული გვარებისა, როგორიცაა, მავალითად, ერისთავი, ლოლუა, ნოდია. ასევე აღეკვატურია ური-ზე (ქართულში: „ური“. ვ. ა.) დაბოლოებული გვარები — ხუბულური, ინაური, ოჩია-

ური და სხვ". (შეადარე ბასკური გვარები: იბარური, ეშაური და მრ. სხვა. შ. ძ.).

პროფ. მანუელ დე არანეგი ბასკების ქვეყნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარეა, კორტესის ყოფილი დეპუტატი, ცნობილი „თავისი ინტერესებითა და სიმპათით საბჭოთა კავშირის მიმართ“. იგი, როგორც საპარლამენტთაშორისო კავშირის წევრი, მონაწილეობას იღებდა ჰელსინკის კონფერენციის მომზადებაში.

როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, მანუელ დე არანეგი ესპანურად თარგმნის ამ სტრიქონების ავტორის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნს, რომელიც მისთვის მოსკოვში ყოფნის დროს მიუცია სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს (ამ წიგნში საუბარია ბასკურ-ქართული ურთიერთობის საკითხებზე-დაც). ადრე ჩვენ მიწერ-მოწერაც გვქონდა ერთმანეთთან.

... დავტოვეთ ნავარის პროვინცია და გავემართეთ გიპუსკოის პროვინციის მიმართულებით. ჩრდილოეთისაკენ ბუნება უფროდაუფრო წარმტაცია და ჩვენი ქვეყნის იერის მატარებელი.

აგრე გურია-იმერეთი, აგრე რაჭა-ლეჩეუმი, აგრე სვანეთი, აგრე კახეთი...

პირენეის თვალშეუდგამი მთა-კლდეები ზეიადია და ალაგ-ალაგ მეტად პირქუში, ჩანჩქერების სიუხვით დამშვენებული.

საქართველოსა და ბასკეთის ბუნების მსავსებამ თავის დროზე აკად. ნ. მარს შემდეგი სიტყვები წარმოათქმევინა („პირენეების გურიიდან“, 1927 წ.):

„არაფრით არ მჟეროდა, რომ ჩვენს დროში შეიძლება სასწაულები მოხდეს, მაგრამ ერთი ასეთი სასწაული ნამდვილად მოხდა... როდესაც პარიზიდან სამხრეთ საფრანგეთისაკენ, პირენეებისაკენ, გავემგზავრეთ, ჩვენ სასწაულის წინაშე აღმოვჩნდით... აღმოვჩნდით კავკასიაში, გურიაში, ე. ი. ჩემს სამშობლოში... როდესაც ტარდეც აიგანზე აღგილობრივ კილოკავს ვსწავლობდი, ვერ ვიშორებდი ფიქრს, რომ ქვემოთ მოჩერიალე მთის მდინარე ჩემი მშობლიური სუფსაა... განსაკუთრებით გაგვაოცა ცერცვისნაირი პარკოსნის მარცვლის, — რომელსაც გურულად ხანჭკოლას უწოდებენ, — კულტივირებამ ამ მიღამოში... აქ ჯერ კიდევ ახსოვთ, როგორ აღიოდა ვაზი ხეზე, სრულიად ისე, როგორც ჩვენთან, გურიაში, ვაზის ეს ჯიში შემდეგ გამოდევნა დაბლარმა ვაზმა. აქაც,

როგორც გურიაში, ბაგირისათვის იყენებენ დაგრეხილ ვაზს, მელსაც გურიაში წირებს უწოდებენ“.

გულდასმით ვათვალიერებთ ბასკების კარმიდამოებს. ლუის სანგინო ამ მხარეს კარგად იცნობს და მანქანას აჩერებს უმთავრესად შუა საუკუნეების იერის მატარებელ დასხლებებში.

შიგაღაშიგ შეიმჩნევა არქაული ნაგებობანი. ნ. მარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მთელ ბასკეთში ქართული ელფერის მატარებელია „სამეურნეო ნაგებობანი, არქიტექტურა... ბასკური ქრისტიანული სალოცავების დაარსების ისტორია ისე ჰგავს ეკლესიების აგებისა თუ გადაკეთების ისტორიას საქართველოში, მაგალითად, მოწამეთაში, ან თვით გურიის ნაწილში, მაგალითად, შემოქმედის მონასტერებში, რომ ამ ლეგენდების საერთო წყაროს არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ წყაროს ყოველთვის ქრისტიანული ლეგენდა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ხშირად მისი წარმართული პირველსახე... ბასკურ ეკლესიებს რომ ვუყურებთ, თავი იმერხევში გვგონია... ხიდები იმერხეულის და უფრო მეტად სვანურის მსგავსია“.

ჩვენი მეგზური თუმცა ესპანელია, მაგრამ კარგად იცის ბასკური სიმღერები, გზაღაგზა მღერის და ზოგ მელოდიაში თითქოს ქართულ ჰანგებს, ქართული სიმღერის მიმოქცევებს ამოიცნობთ. მაგალითად, ერთი ბასკური სიმღერა (ეწოდება „მთის სიმღერა“) იმდენად ჰგავს ჩვენებურ „ოროველას“, რომ ავყევი და ხმა შევუწყვე ჩვენს მოხალისე მომღერალს. ლუისი ვერასაგზით ვერ დავარწმუნე, რომ მის მიერ შესრულებული ბასკური სიმღერა პირველად გავიგონე. ცხადია, ამ სიმღერებში დამთხვევა არ არის, მაგრამ რაღაც შორეული საერთო კილო რომ შეიგრძნობა, ეს კი უკველია.

ქართულ და ბასკურ სიმღერებში ერთგვარი სიახლოვე ნ. მარსაც შეუმჩნევია საფრანგეთის ბასკეთში. ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ნათქვამია, რომ ბასკებს „გურულების მსგავსი“ მანერები აღმოაჩნდათ „ბურთის თამაშში, სიმღერაში, მუსიკაში“.

ქართულ-ბასკური სიმღერების ნათესაობის პრობლემა უკავშირდება ვარაუდს ქართული პოლიფონიის ნათესაობის შესახებ ძველ ევროპულ პოლიფონიასთან. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გერმანელი მუსიკათმცოდნის პროფ. ზიგფრიდ ნადელის წიგნი „ქართული სიმღერები“ („Georgische Gesänge“,

1933, ბერლინი). იხ. აგრეთვე ივ. ჭავახიშვილის „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები“ (1938, გვ. 30—31).

ცნობილი მკვლევარი მარიუს შნაიდერი კაპიტალურ ნაშრომში „მრავალხმიანობის ისტორია“ (ტუტცინგი, 1969) სპეციალურ თავს უძღვნის ევროპული და არაევროპული პოლიფონიის არქაულ კერძებს და ერთ-ერთ ასეთ კერად მას ქართული ხალხური მრავალხმიანი მუსიკა მიაჩნია.

ბასკურ-ქართული მუსიკალური ფოლკლორის საკითხებს ეხება პროფ. ვ. გვახარია ქართულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებულ სტატიებში.

პროფ. შ. ასლანიშვილი წიგნში „ნატავევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“ (1954) გვაჩვენებს, რომ გარდა ზოგადი სტრუქტურული პარალელიზმისა, პირენეის ნახევარკუნძულის სიმღერებისა და ქართული პოლიფონიური წყობა ამჟღავნებს მრავალ საერთო ინტონაციას მელოდიკაში. ამის ქლასიკური ნიმუშია კატალონიურ-ბასკური „ნანა“, რომელიც არა მხოლოდ ინტონაციურად იძყრობს ყურადღებას თავისი სრულიად განსაკუთრებული სტრუქტურით, არამედ იგი ტექსტურადაც ემთხვევა ქართულ-ში დადასტურებულ აქვნის „ნანას“ ვარიაციებს. პროფ. შ. ასლანიშვილის სიტყვით, „ჩრდილოეთ ესპანეთისა და საქართველოს ხალხური სიმღერების მსგავსებას ადასტურებს არა მარტო ქართული სიმღერის — „ბუნდოვან გულსა“ განსაციფრებელი მსგავსება ჩრდილოეთ ესპანეთის სიმღერასთან — „ტოროლა“, არამედ აგრეთვე საბჭოთა ეთნოგრაფიის ტოლსტოის სტატიაში — „ესპანური ხალხური მუსიკა“ მოყვანილი სიმღერები და საკრავი ჰანგები, რომელთა სიხლოვეეც ქართულ ხალხურ სიმღერასთან არავითარ ეჭვს არ ბადებს“ (გვ. 160). ავტორი აანალიზებს, ერთი მხრივ, სიმღერას — „ნათელი მთვარე“, რომელიც „ინტონაციურად წარმოადგენს ერთხმიან გლეხურ სიმღერას“ და, მეორე მხრივ, სიმღერას — „სიგელილია“, რომელიც „გიტარის თანხლებით სრულდება, პარალელური ტერციების თანამიმდევრობით, კილოს ცვალებადი საფეხურებით (დო და დოდიეზი) და ასევე ჰარმონიული მიმდევრობით უახლოვდება საქართველოს ხალხურ სიმღერას“.

ამრიგად, მკვლევარის დასკვნით, „იავ-ნანას ვარიანტის მელოდია შემონახულია ჩრდილოეთ ესპანეთში“. და ბოლოს: „თუკი მეც-

ნიერებაში ზუსტად არ არის დადგენილი, თუ როდის მოსახლეობა-  
დნენ ჩრდილოეთ ესანეთის ხალხები მათ მიერ ამჟამად დაკავებული  
ბულ ტერიტორიაზე, სამაგიეროდ, ეჭვს გარეშეა, რომ ეს უნდა მომ-  
ხდარიყო უძველეს ხანაში... ეს მელოდია უძველეს ხანაში წარმო-  
იშვა — მაშინ, როდესაც ქართველ ხალხს მჟიდრო კულტურულ-  
ისტორიული ურთიერთობა ჰქონდა იმ ხალხებთან, რომელთა ყო-  
ფაშიც არის გავრცელებული „იავ-ნანას“ და „ბუნდოვან გულსას“  
მელოდიის ვარიანტები, ე. ი. წინა აზიის კულტურის ბატონობის  
ხანაში; ... „იავ-ნანას“ და „ბუნდოვან გულსას“ ტიპის მელოდიე-  
ბი ქართული ხალხური მუსიკის ძირითად ფონდს წარმოადგენენ“  
(გვ. 162—163).

დავუბრუნდეთ ისევ ქართული „ოროველასა“ და ბასკური „მთის  
სიმღერის“ ეჭვმიუტანელ მსგავსებას. ამ პარალელისათვის მნიშვ-  
ნელობა აქვს იმის აღიარებას, რომ ქართულ ფოლკლორში „ორო-  
ველა“ განეკუთვნება ისეთ სიმღერებს, რომლებიც ხასიათდებიან  
ყველაზე მკვეთრად გამოვლენილი არქაული სტრუქტურული ნიშ-  
ნებით და თარიღდებიან წარმართული ხანით. „სიმღერების — „ურ-  
მულის“, „ოროველას“, „კალოურის“ და სხვათა სიძველის შესახებ  
სიმღერის აგებულება მეტყველებს“ (პროფ. შ. ასლანიშვილი). პროფ.  
დ. არაყიშვილი ამ სიმღერებს, როგორც ერთხმიანობის სტრუქტუ-  
რის შემცველთ, მიაკუთვნებს უძველეს სიმღერათა ჯგუფს.

სიმპტომატურია, რომ ბასკურ მუსიკალურ ფოლკლორს ისეთი  
ქართული სიმღერები უკავშირდება, რომლებიც ყველაზე ძველი  
ფორმაციისა და არქაიზაციის გამოვვეთილი იერის მატარებელია  
(„იავ-ნანა“, „ოროველა“, „ურმული“ და სხვ.). საკითხი ჩაღრმავე-  
ბულ ძებას მოითხოვს.

შევაღაროთ ბასკური და ქართული „ნანას“ ტექსტები ერთმანეთს:  
1. „დაიძინე, ჩემო შვილო, დაიძინე ჩემო სულო, დაიძინე, თვალის  
ჩინო დილამდის, ნანინა, ნანა, ნანინა“ (ბასკური), 2. „დაიძინე, ჩემო  
შვილო, დაიძინე პატარავ, დაიძინე ჩემო გვრიტო, ნანინა, ნანა, ნანი-  
ნა“ (ქართული). გარდა შინაარსობრივი მსგავსებისა, მისამღერის  
დაბოლოება („ნანინა, ნანა, ნანინა“) ორივე ენაზე სავსებით ერთნაი-  
რია (Мануэль де Фалья, «Семь испанских народных песен», Москва, 1933; ფ. ზანდუკელი, „ქართული საბავშვო ფოლკლორის  
საკითხები“, 1977, გვ. 38).

ბასკები გარეგნულად ძალიან ჰგვანან ქართველებს. კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის გენეზისი უშუალოდ უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმომავლობის საკითხს, რასაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ ბასკურ-კავკასიური თეორიისათვის. ფრ. ენგელსი დასაცლეთ ევროპის თავდაპირველი მოსახლეობის ისტორიული საკითხების კვლევის დროს ყურადღებას მიაქცევს პალეოანთროპოლოგიურ მონაცემებსაც და ორნიშნავს, რომ დაბალი შუბლი, არწივისებური ცხვირი, დახვეწილი ყვრიმალები და სუსტად განვითარებული ყბები მიგვანიშნებენ იბერიულ რასას, რომლის წარმომადგენლები ბასკები არიანო. ბასკონიაში აღმოჩენილია თავის ქალები, რომლებიც მეცნიერთა დასკვნით, „აშკარად გამოსახული კავკასონიდური რასის ტიპისაა“ (III ათასწლეული ძვ. წ.).

დამახასიათებელია, რომ ბასკონიაში ამბობენ: „სასტუმროში შედის კაცი. პასპორტს სთხოვენ. — რად გინდათ პასპორტი (მიუთითებს არწივისებურ ცხვირზე)? მე ბასკი ვარ!“

თავად ბასკები კი გვეუბნებიან: „არ გაგიკვირდეთ, თუ ვინმე უცხოელმა მოგმარითოთ—ესა და ეს ქუჩა მიმასწავლეთო, —უთუოდ ბასკებად მიგიჩნევენ!“

დავიმოწმებ ბასკი ქალის მარტინა მინტეგი ბილბაოს სიტყვებს: „ბასკები გარეგნობით ძალიან ჰგვანან ქართველებს. მეც საქართველოში ქართველ ქალში ვერ მარჩევენ“ („ჩემი ბასკეთი“, თბილისი, 1972).

... ჩავაღწიეთ ზღვის სანაპიროზე მდებარე უმშვენიერეს ბასკურ ქალაქში — სან-სებასტიანში („წმინდა სებასტიანი“. თვითონ ბასკები ასე უწოდებენ: „დონოსტია“. „დონ“ — წმინდა, „ოსტია“ მიღებულია საკუთარი სახელის „სებასტიანის“ ფონეტიკური სახეცვალებით). ეს ქალაქი ესპანეთის ტურისტული ცენტრია (დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს).

სან-სებასტიანში ჩვენი მეგობარი მოქანდაკე ლუის სანგინო გამოვემშვიდობა და ის შეცვალა მაღრიდიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ხოსე ანტონიომ, მაღრიდის ფირმის ერთ-ერთმა მეთაურმა (თან ახლდა მეუღლე, მაღრიდის ტელევიზიის დიქტორი).

ამ ქალაქში ცხოვრობს ბასკური ენის სამეფო აკადემიის რამდენიმე წევრი, რომლებსაც მაღრიდიდან შეატყობინეს ჩვენი ჩამოსვლა. მათთან შეხვედრა და გულითადი საუბრები ნაყოფიერი და სა-

სარგებლო აღმოჩნდა ჩვენი მიზნებისათვის. საფუძველი ჩაეყარა  
მათთან ჩვენს მომავალ მეცნიერულ თანამშრომლობას და ურთობის  
დამყარებას. აკადემიის წევრი ა. სარატაინი, რომელიც  
ავტორია მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა ბასკურ ენათმეცნიერე-  
ბაში, გვესაუბრა ბილინგვიზმის (ორენოვნების) თეორიულ და  
პრაქტიკულ საკითხებზე.

ბილინგვიზმის პრობლემა ამჟამად ფრიად აქტუალურია ესპა-  
ნეთში, ბასკებისათვის ორენოვნებასთან დაკავშირებული საკითხე-  
ბის მოგვარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამ საგანზე გა-  
მოქვეყნებულია საინტერესო გამოკვლევები, ლექსიკონები, საინ-  
სტრუქციო ხასიათის მითითებანი და სხვ.

ვესტუმრეთ გიპუსკოის ოლქის უზარმაზარ საბანქო გაერთიანე-  
ბას (დაარსებულია 1896 წელს), რომელიც აფინანსებს და ხელმძ-  
ღვანელობს ბასკონიის ამ დიდი პროვინციის საგამომცემლო ორგა-  
ნიზაციებსაც.

დირექტორი დიდი პათოსით გვიამბობდა იმ წვლილის შესახებ,  
რომელიც შეაქვს დაწესებულებას ბასკური ლიტერატურისა და,  
საზოგადოდ, ბასკოლოგიის აღორძინებაში. მან აღნიშნა, რომ დიდ  
ყურადღებას უთმობენ განსაკუთრებით ორენოვანი დარგობრივი  
ლექსიკოგრაფიული ნაშრომების პუბლიკაციებს. გვიბოძა ამ დაწე-  
სებულების მიერ გამოქვეყნებული წიგნები, მათ შორის მდიდრუ-  
ლად გამოცემული „აღამიანის ცხოვრება. ორენოვანი ანატომიური  
ატლასი“, ორიგინალური პრინციპით შედგენილი ვეებერთელა წიგნი.  
ისიც დასძინა, რომ გადაწყვეტილია სან-სებასტიანში გაღმოყვანილ იქ-  
ნეს სამუშაოდ სალამანკის უნივერსიტეტის პროფესორი ლუის გი-  
ჩელენა, დიდი ბასკოლოგი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ბილინგ-  
ვიზმის საფუძველზე შედგენილი წიგნების გამოცემის საქმეს.

ბასკური ენის სამეფო აკადემიის თანამშრომელთა თანხლებით  
დავათვალიერეთ სან-სებასტიანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სა-  
ხელმწიფო მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს ბასკური სიძელე-  
ების ამსახველ ყველაზე დიდ კერას მსოფლიოში. მუზეუმი მოთავ-  
სებულია XVI საუკუნეში აგებულ შესანიშნავ შენობაში.

ვისაც სურს შეისწავლოს უძველესი ბასკური ყოფის რეალიე-  
ბი სრულად და მთელი სიღრმით, აქ განლაგებულ მრავალფეროვან  
და უმდიდრეს ექსპონატებზე უნდა აწარმოოს მეცნიერული დაკ-

ვირვებები. საქმე ისაა, რომ დროთა ბრუნვით წაშლილი და ესპანი-  
ზაციის მძლავრი პროცესების წყალობით აღმოფხვრილი ძეველი გენერატორები  
რიცლი ცივილიზაციის გადმონაშთები საძებარია დღევანდელ ბას-  
კურ სინამდვილეში და მათ პირველსახეს მეცნიერული ანალიზი  
თუ გამოავლენს. ამ თვალსაზრისით სან-სებასტიანის მუზეუმს  
პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც აქ დაცუ-  
ლი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალა სრუ-  
ლად მიგვანიშნებს და აღმოჩენას ბასკური სამყაროსათვის დამახა-  
სიათებელ რეალიებს.

ჩამოვიტანეთ მუზეუმის აღწერილობა-ილუსტრაციები, კაპიტა-  
ლური წიგნები, რომლებიც ჩვენს ქართველოლოგებს საფუძვლიან  
შთაბეჭდილებას შეუქმნის მუზეუმის კოლექციებზე და ქართულ  
სინამდვილესთან ზოგიერთი საგულისხმო პარალელის გატარების  
შესაძლებლობას მისცემს.

მუზეუმის დათვალიერებისას ჩვენ გარევევით შევნიშნეთ ანა-  
ლოგიები, მაგრამ აქ სიტყვა ეთნოგრაფებსა და არქეოლოგებს  
ეკუთვნით.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ზოგი რამ მართლაც საცნაურია და შო-  
რეული მსგავსების ნიშნით აღმოჩენილი. ძეველი დარბაზის ტიპის  
საცხოვრებელი სახლების მოწყობილობანი, სვანურ-რაჭული და  
მოხეურ-მთიულური „საუფროსო სკამი“ (საკურცხალ, სამარტო  
შეკმი...), კერისა და მისი ატრიბუტების იერი, არქაული ეროვნუ-  
ლი ტაძასაცმელი და მორთულობანი (ნამეტურ ხევსურულის სახეო-  
ბისა), ეზო-კარის ნაგებობანი და მრავალი სხვა, ერთად აღებული,  
მტკიცე საფუძველს უქმნის რემინისცენციებს და მასალის შედარე-  
ბითი შესწავლისაკენ წარმართავს ჩვენს გულისყურს.

ასევე დაკვირვებისა და შესწავლის ღირსია მუზეუმში გამოფე-  
ნილი არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებული საგულისხმო  
კუთხების აღმძვრელი მასალა, კერძოდ, დოლმენების ნიმუშები.  
საინტერესოა უძველესი სამარხების (აკლდამების), ანუ დოლმენე-  
ბის გარკვეული ტიპის არსებობა, ერთი მხრივ, პირენეის ნახევარ-  
კუნძულზე და, მეორე მხრივ, კავკასიაში, რაზედაც ყურადღება გა-  
ამახვილეს საბჭოთა არქეოლოგებმა (ვ. მარკოვინი, ო. ჯაფარიძე).  
ბ. კუფტინი კავკასიურ მასალს მჭიდროდ უკავშირებდა ხმელთა-  
შუაზღვისპირეთის შესაბამის ძეგლებს). როგორც გვარწმუნებენ,  
პირენეის ნახევარკუნძულის აღრეული დოლმენები განსაკუთრებით


უახლოვდებიან კავკასიურ ძეგლებს. ამ ტიპის ღოლმენები ინვენ-  
ტარის ხასიათითაც ემსგავსებიან ერთმანეთს. ფიქრობენ, რომ კავკასიურ  
კასიის უძველესი ღოლმენები ბასკების ადგილსამყოფელის ძეგ-  
ლებთან პოულობს გასაოცარ სიახლოვეს.

შავიზღვისპირეთის მეგალითური კულტურის დაკავშირება ბას-  
კურ სამყაროსთან, ცხადია, მოითხოვს ჩაღრმავებულ ძიებებს და,  
საერთოდ, არქეოლოგიური გათხრების ფართო მასშტაბით გაშლას.

არქეოლოგმა ფუსტემ 1965 წელს ბასკეთში გათხარა 5000 წლის  
წინანდელი სპილენძის საბადო, სადაც აღმოჩნდა ზვავის შედე-  
გად დაღუპულ ადამიანთა ჩინჩები. რიგიანად არის შენახული  
ორმოცამდე თავის ქალა. ფუსტეს დასკვნით, ისინი განეკუთვნებიან  
ე.წ. „კავკასიონიდური რასის გვიანდელ ვარიანტს“. ამ აღმოჩენე-  
ბის საფუძველზე არქეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი მა-  
ლუკარ დე მოტი აღნიშნავდა, რომ ენეოლითურ ხანაში ესპანეთი  
„იზიდავდა კავკასიური წარმოშობის ადამიანებს, რომელთა კულ-  
ტურა დაკავშირებულია ლითონის დამზადების ხელობასთან“.  
ფრიად სიმპტომატური გარემოებაა: ქართველური ტომები ხომ  
ცნობილი იყვნენ, როგორც მეტალურგიული კულტურის მატარებ-  
ლები (უახლეს გამოკვლევათაგან აქ დავასახელებ დ. ხახუტაიშვი-  
ლის ნაშრომს: „რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პირ-  
ველადი ცენტრების საკითხისათვის“).

უძველესი კავკასიონიდური ბრახიცეფალების სამარხები ყოველ-  
თვის დაკავშირებული იყო სპილენძის მოპოვების კულტურასთან.


და როდესაც თანამედროვე სპეციალისტები ჩრდილოეთ ესპა-  
ნეთის ტერიტორიაზე ახალი არქეოლოგიური მასალების აღმოჩე-  
ნასთან დაკავშირებით აღიარებენ, რომ ენეოლითურ ხანაში ჩრდი-  
ლოეთ ესპანეთში აშკარად შეიმჩნევა კავკასიოლების კვალი, კავკა-  
სიელებისა, რომლებიც მეტალურგიული კულტურის მატარებელ-  
ნი იყვნენ, და ამ კონტექსტში იმოწმებენ, კერძოდ, სპილენძის და-  
მუშავების ტექნოლოგიას, არ შეიძლება არ მოგვაგონდეს 1920  
წელს აკადემიკოს ნ. მარის მიერ წამოყენებული ანალოგიური დე-  
ბულება, გამოთქმული სრულიად კატეგორიულად და ავტორისათ-  
ვის დამახსაიათებელი სიმკვეთრით. მაშინ, ალბათ, ნ. მარს ეჭვი არ  
შესდიოდა იმაში, რომ არქეოლოგიური გათხრები მომავალში აღვკ-  
ვატურად დაადასტურებდა მის მეცნიერულ წინასწარხედვას.



აი, რას ამბობდა ნ. მარი ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შიგნით წარმატების დროს და აღმართული იყო მოხსენებად რუსეთის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის საერთო კრებაზე<sup>1</sup> (სიტყვა ეხება საქართველო-კავკასიიდან უხსოვარ დროს გარკვეული ეთნიკური ჯგუფების გამგზავრებას დასავლეთისაკენ):

„როდესაც ვლაპარაკობთ იაფეტიდების (ე. ი. ქართველურ-კავკასიური მოდგმის ხალხების) მიერ დასავლეთის კულტურაში შეტანილ წვლილზე“ მეტალურგიის დარგში, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი დახელოვნებული იყვნენ ლითონის დამზადების ტექნიკურ პროცესებში, და ეს „ცოდნა გამომდინარეობდა მათი ეთნო-კულტურული ცხოვრების ხასიათიდან“. დროთა ვითარებაში შეიქმნა ახალი წიაღისეული მაღნების „მოპოვების მოთხოვნილება, რაც აძიულებდა იაფეტიდებს აყრილიყვნენ და დასდგომოდნენ შორეულ გზას გარკვეული მიმართულებით. იაფეტიდები, ეს ხალხები-მეტალურგები (народы-металлурги)“, ეჭვს გარეშე, საჭიროებდნენ ლითონს, უწინარეს ყოვლისა, თავიანთი ტომბობრივი მეურნეობის (მეტალურგიის. შ. დ.) სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის, და მშობლიურ ქვეყანაში მაღნეულობის გამოლევის, ანდა ამ მაღნეულობის ტექნიკური თვისებების უვარისიობის გამო მიეშურებოდნენ დასავლეთის მიმართულებით ახალი მაღნეულობის მოსაპოვებლად, ისე როგორც მწყემსების მომთაბარე ტომები მიეშურებიან ახალი საძოვრებისაკენ. ეს იყო არა ხალხთა დიდი გადასახლების, არამედ იაფეტური (ქართველურ-კავკასიური. შ. დ.) ტომების განბნების განვითარების განვითარებისათვის შემდეგი ცნობა.

1 ინტერესმოვლებული არ იქნება მკითხველისათვის შემდეგი ცნობა. ეს აკადემია (რომლის პრეზიდენტიც აკად. ნ. მარი იყო) ნ. მარის პროექტით რუსეთის არქეოლოგიური კომისიის პაზაზე შეიქმნა და მას — მარის წინადაღებითვე — დაერქვა „სახელმწიფო მატერიალური კულტურის აკადემია“. სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 18 აპრილის დადგენილებით ეს დიდი დაწესებულება შეუდგა ნაყოფიერ მუშაობას. ვ. ი. ლენინმა ნ. მარის მიერ მოწოდებულ სახელწოდებას დაუმატა სიტყვა „ისტორია“ და, ამრიგად, ჩამოყალიბდა „სახელმწიფო მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია“. ნ. მარი შემდგომ აღნიშნავდა, რომ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ შესწორებას დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც სიტყვა „ისტორიის“ დამატებამ განსაზღვრა ახალი სამეცნიერო ცენტრის გვზი და შემართულებამ.



ვის, ცალ-ცალკე დასახლებების ეპოქა... იაფეტილები მიღიონდნენ, ცალ-ცალკე სახლდებოდნენ და საბოლოოდ ეფუძნებოდნენ. ამ, სადაც პოულობდნენ საჭირო ლითონების მაღნებს იმ რთული სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომელიც დაკავშირებული იყო მათი მატერიალური კულტურის პირველსაწყისთან და წყაროსთან — მეტალურგიასთან, — მეტალურგიამ კი იმთავითვე განსაზღვრა მათი საზოგადოებრივი მრწამსი, მათი რელიგია, მათი ფსიქოლოგია...“.

პირენეის ნახევარკუნძული (დღევანდელი ბასკეთი) კი ოდით-განვე ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში, როგორც უმდიდრესი მეტალურგიული საბადოების ქვეყანა.

ამრიგად, ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ქართველურ-კავკასიური მოდგმის რამდენიმე ჯგუფმა შეაღწია დასავლეთში, პირენეის ნახევარკუნძულზე, უმთავრესად ლითონის მოპოვებისა და დაწზადების საჭიროებისათვის. ამასთანავე, მათ ახალ ტერიტორიაზე მირტანეს მეტალურგიული კულტურა, რომლის მდიდარი ტრადიციები მშობლიურ კავკასიაში იყო შემუშავებული.

როგორ ეხმაურება რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოოქმულ ამ პიპოთეზას დღევანდელი ესპანელი არქეოლოგების ახალი მონაპოვარი! (გავიხსენოთ მალუკარ დე მოტის სიტყვები: ენოლითურ ხანაში ჩრდილოეთ ესპანეთი „იზიდავდა კავკასიური წარმოშობის აღმიანებს, რომელთა მთელი კულტურა დაკავშირებულია ლითონის დაწზადების ხელობასთან...“!).

გამოჩენილი ენათმეცნიერი პაულ კრემერი ერთგან წერდა:

„თუ ჩვენ წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძევს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესლაც მათი მატარებლები“.

ეს მართალია, — რამდენადაც საქმე ეხება ენას, — მაგრამ ბასკეთში ამ ხუთი ათასი წლის წინათ ზვავის შედეგად დაღუპული ორმოცი მემაღაროელის თავის ქალები თითქოს ეპვმიუტანლად გვეუბნებიან, რომ მათი მატარებლები იბერიულ-კავკასიურ მოდგმას მიეკუთვნებოდნენ.

პრეისტორიული და პროტოისტორიული არქეოლოგიური და ეპიგრაფიული გამოკვლევები ესპანეთში, ამასთანავე, საფრანგეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, უნდა ვითიქროთ, სა-

იმედო მასალებს გამოავლენენ ჩვენთვის საინტერესო თვალსაზღვრული რისით.

საბჭოთა აგრძობიოლოგიური მეცნიერების დიდი ავტორი ტერი აკადემიკოსი ნ. ვაკილოვი თავის წიგნში „ხუთი კონტინენტი“ (1962 წ.) ახასიათებს მოსავლის აღების გარკვეულ ხერხს და აღნიშნავს:

„... სამოც ქვეყანაში არაერთგზის მოგზაურობისას ჩვენ არც ერთხელ არ გვინახავს მოსავლის აღების ასეთი მეთოდი, და მხოლოდ შემდგომ მსგავს ხერხს წავაწყდით მთაგორიან დასავლეთ საქართველოში — ლეჩხუმში, სადაც ამას წინათ აღმოჩენილ იქნა ხორბლის შესანიშნავი ენდემური ჯიში, რომელიც გენეტურად ყველაზე ახლოს დგას ნამდვილ სპელტასთან. ამგვარად, აგრონომიულად და ბოტანიკურად დადგინდა გასაოცარი კავშირი ჩრდილოეთ ესპანეთსა (იგულისხმება ბასკონია. შ. ბ.) და საქართველოს შორის, ამასთანავე, თვით ობიექტი და თავად აგროტექნიკა იმდენად სპეციფიკური და განუმეორებელია, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ კავშირის ღრმა მნიშვნელობა“.

და, აი, სან-სებასტიანის მუზეუმში გამოფენილია ზემოხსენებული ტიპის ხორბლის აღების ძველი ორიგინალური იარაღი, რომელიც ძვირფასი დადასტურებაა ბასკურ-ლეჩხუმური პარალელებისა. ეს დებულება გავაცნი აკადემიკოს სარატაინს, რომელმაც საინტერესო დეტალებით შეავსო აკადემიკოს ვავილოვის მიერ მითითებული ხორბლის ჯიშისა და მისი აღების ტექნოლოგიის თავისებურება.

... რამდენიმე საათით გამოვეთხოვეთ სან-სებასტიანს და გავუყევით გზას აღმოსავლეთისაკენ, საფრანგეთის მიმართულებით. უნდა მივიდეთ ესპანეთ-საფრანგეთის საზღვართან და თვალი გადავავლოთ ბასკებით დასახლებულ საფრანგეთის ტერიტორიას. მივადექით სასაზღვრო ხაზს. მდინარის გაღმა „ფრანგი ბასკები“ ცხოვრობენ, მდინარეზე დიდი ხიდია გადებული, ვხედავთ იქაურ მცხოვრებთ, იგივე პეიზაჟები, იმავე ტიპის ნაგებობანი... სამანქანო გზა შეუსვება ერთ შემაღლებულ მთას, რომლის მწვერვალი-დან უფრო კარგად გამოჩნდება მოსაზღვრე ქვეყანა. ზემოდან ხელისგულივით მოჩანს უზარმაზარი ტერიტორია — საფრანგეთის ბასკების სამკვიდრო, „მეორე ბასკეთი“.

## ცოტა რამ ისტორიიდან.

XVI საუკუნეში ჩრდილოეთის (ქვემო) ნავარა გამოეყოფა ზოგადი მეფების — ბურბონების სამფლობელოს. საუკუნის დამდეგს კასტილის მეფემ ფერდინანდ კათოლიკმა დაიპყრო სამხრეთი (ზემო) ნავარა, რომელიც ჭერ კიდევ X საუკუნიდან მოყოლებული, დამოუკიდებელ სამეფოდ ითვლებოდა და პოლიტიკურად მუდამ განცალკევებული იყო ბასკთა პროვინციებისაგან. აი, ასე გაიყო ბასკთა ქვეყანა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, ბასკების ჩრდილოეთის რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთის რაიონები კი XV—XVI საუკუნეების მიჯნაზე — ერთიანი ესპანეთის სახელმწიფო გაერთიანებაში მოექცა, სადაც XIX საუკუნემდე შენარჩუნებული იყო თვითმმართველობა.


ესპანეთში, ბასკებისა და ესპანელების ენობრივ საზღვარზე, ალაგ-ალაგ (ნამეტურ მხარის აღმოსავლეთის ნაწილში) ორენოვნებაა გამეფებული (იციან ბასკური და ესპანური), საფრანგეთში კი ასეთი გარდამავალი ზონები არ არის დადასტურებული, თუმცა ორენოვნება იქაც არის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესპანეთში გარკვეულ ლოკალში (მაგ. ალავაში) რამდენადმე შეიმჩნევა ბასკური ენის „პოზიციების დათმობა“, მაშინ როდესაც საფრანგეთში ბასკური და ფრანგული ენების დღევანდელი საზღვრები თითქმის ისეთივეა, როგორიც იყო შუა საუკუნეებში.

აქ ბასკურ ენას ოციან წლებში იყვლევდა ნიკო მარი და უმთავრესად საფრანგეთში გავრცელებულ ბასკურ მეტყველებაზეა დაფუძნებული მისი გამოკვლევები. სხვათაშორის, მეცნიერის არქივში დაცულია ლაბურდისა და სულეტის კილოკავების ამსახველი ძვირფასი ტექსტები, რომელთა გამოქვეყნება განზრახული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოებას.

ერთ ბასკურ ხალხურ ლექსში კარგად გამოსჭვივის ესპანეთისა და საფრანგეთის ბასკური პროვინციების ერთიანობის იდეა:

„ჩვენს მთებში ერთი მძლე მუხა დგას ტოტებაყრილი,  
სამი ტოტი აქვს საფრანგეთის ცაში გაშლილი,  
ოთხი მძლე ტოტი უკავია მისი ესპანეთს  
და ერთი ძირი აკავშირებს შვილთავ ერთმანეთს“.


აქ მუხა — იგივე გერნიკის „წმინდათა წმინდა მუხა“, სიმბო-




სან ფერმინის დღესასწაულზე (ახალგაზრდობა კორიდისაკენ მიერეკება ხარებს).




პატარა ბასკი.




ଦାସ୍କୁରି ମଦା-ସାଥ୍ଲା.



ଦାସ୍କୁରି ଅଗନ୍ଧାନି ସାଥ୍ଲା.





ბასკური კერია.



ბასკური ნალია (ექსპოზიცია ეთნოგრაფიულ მუზეუმში).



ბასკური ორნამენტიანი ხის სკიური.



ბასკური სტელები.

ლო ბასკების ერთიანობისა; სამი ტოტი — საფრანგეთის ბასკეთის სამი პროვინცია; ოთხი ტოტი — ესპანეთის ბასკეთის ოთხი პროვინცია.

ვართ ქალაქ ირუნში, რომელიც ბოლო ქალაქია ჩრდილოეთ ესპანეთისა და ყურადღებას იყრობს იმ მხრივ, რომ ამ გვიანი შეასუკუნების ტიპურ ქალაქში თვალნათლივ შეიგრძნობა ბასკური არქაული საქალაქო ყოფის ნიშანდობლივი თავისებურებები.

გიბუსკოის ცენტრში ჩვენი სტუმრობის დღეები იწურება, სან-სებასტიანიდან მივემგზავრებით ბისკაის ბასკეთში, დასავლეთის მიმართულებით. შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს ზღვის სანაპირო, პატარ-პატარა ბასკური ქალაქები და საკურორტო ადგილები. დროდადრო ვჩერდებით ძველი იერის მატარებელ ქალაქებში (ზოგი მათგანი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებისაა). აი, ძველი ქალაქი ორიო, რომელიც მთელ ესპანეთში განთქმულია, როგორც ნაგოშეჯიბრების ცენტრი. აქ, როგორც წესი, ესპანეთის მეფე ჩამოდის, თავს იყრის აურაცხელი ხალხი, ჩამოდიან სხვა ქვეყნებიდანაც. ფინალური შეჯიბრებები კი ჩვეულებრივ სან-სებასტიანში იმართება.

საზოგადოდ, ბასკები ძველთაგანვე ცნობილი არიან მთელ მსოფლიოში, როგორც შეუდარებელი მეზოვაურები და მოგზაურები (შემონახულია XIX საუკუნის დროინდელი ცნობებიც). ბასკებმა ამერიკის კონტინენტზე იმოგზაურეს უფრო ადრე, ვიდრე იქ კოლუმბი შეაღწევდა. ცნობილი არიან კოლუმბის პირველი თანა-შემწე ბასკი ხუან ბისკაიონო, მაგრანის ექსპედიციის წევრი ელკანო, წარმოშობით პორტუგალიელი ბასკი ვასკო დე გამა და სხვ.

ინტერესმოქლებული არ არის შემდეგი გარემოება: ბასკონიაში არსებობს ხალხური რწმენა, რომ ბასკები უხსოვარ დროს სამხრეთიდან მოსული ხალხია სწორედ ზღვით და ამით აიხსნება მათი „ზღვაოსნური ნიჭი“ და მიდრეკილება. მთელი რიგი მეცნიერები (პუმბოლდტი, მარი, ფილიპონი, პროზნი და სხვ.) ირწმუნებიან, რომ ბასკებმა სწორედ ზღვით მიაღწიეს პირენეებში.

შევჩერდით ერთ პატარა ზღვისპირა ბასკურ ქალაქში. სადილად ვართ მიპატიუებული ზედ ზღვაზე გადამდგარ რესტორანში. ჩვენი მეგზური ხოსე ანტონიო (დედით ბასკი) გრაფების ჩამომავლობისაა, აქ გაუტარებია ბავშვობა და გატაცებით გვიამბობს მშობლიუ-

რი კუთხის საინტერესო ამბებს. აქვე, ერთ ძველ ეკლესიაში, საგ-  
ვარეულო სასაფლაოა, მისი ზშობლები შიგ ეკლესიაში არიან დღის დღის  
რიალული.

რესტორნის მეპატრონე მეტად სიმპათიური ხანდაზმული ბას-  
კი ქალია, რომელმაც, იცის რა ჩევნი ვინაობა, თავს დაგვტრია-  
ლებს, აღფრთოვანებულია „ბასკების ნათესავების“ სტუმრობით  
და არ იცის, რითი გვასიამოვნოს. იგი გარევნობით ქართველ კდემა-  
მოსილ მანდილოსანს გვაგონებს. გამახსენდა ნიკო მარის სიტყვე-  
ბი, როცა ის თავის ნაშრომში ეხება ბასკების „სომატური სახეო-  
ბის“ საკითხს: „საოცრად ბევრია აქ ლამაზი, ტანწერწეტა ქალი, —  
მაგრამ ქალის ტიპი არა მარტო გურული, არამედ მეგრულიცა“.

ეს მიდამოები მევენახეობის ცენტრალური რეგიონია და დია-  
სახლისიც თავს გვაწონებს აქაური ტიპური ბასკური ღვინოების  
მრავალსახეობით. ჩვენთვის საგანგებოდ ამოაქვს სარდაფიდან,  
რესტორნის ხელუხლებელი კოლექტურიდან, დაძველებული ბასკური  
ღვინო. ი. ტაბაღუა ირწმუნება, რომ ბასკური ღვინოები იმერული  
„ციცქისა“ და „ცოლიკაურის“ ტიპისაა. ჩვენი გულუხვი ღიასახ-  
ლისი გვიმასპინძლდება ნამდვილი ბასკური საჭმელებით, განსა-  
კუთრებით ქათმის ხორცისაგან შემზადებული ნაირ-ნაირი კერძე-  
ბით. ისევ მაგონდება ნიკო მარის სიტყვები: ბასკებს „გემოვნებაც  
გურული აღმოაჩნდათ. განსაკუთრებით გამაოცა ქათმის შემზადე-  
ბის გურულმა წესმა“. ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვი არ უნდა  
შევიტანოთ.

მართლაც, ბასკური ეროვნული სამზარეულო გამოირჩევა გას-  
ტრონომიული სინატიფით და სიუხვით, მთელ ბასკონიაში „კული-  
ნარიული ხელოვნება“ მაღალ ღონეზე დგას. არ არის შემთხვევითი,  
რომ არსებობს „გასტრონომიული საზოგადოება“, რომელიც მრავალ  
ენთუზიასტს იზიდავს. ბასკონია მოფენილია ამ საზოგადოების სა-  
სადილოებით, საზოგადოების ყოველ წევრს უფლება აქვს თავი-  
სუფლად შევიდეს შიგ და თავად შეამზადოს კერძები. დამახასია-  
თებელია, რომ ბასკურ ენციკლოპედიაში წარმოდგენილ დარგებს  
შორის ცალკეა გამოყოფილი „გასტრონომია“. ამავე ენციკლო-  
პედიის გამოცემითა სერიაში გამოქვეყნებულია ფუნდამენტური  
წიგნი „ბასკური სამზარეულო“. ამ ტიპის წიგნები სხვაც ბევრია  
გამოცემული.

... ჩავედით ქალაქ გერნიკაში.

გერნიკა! „ბასკების კულტურის ცენტრი“ (როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ)!

ბასკების ეროვნული ტრადიციები დაკაშირებულია სწორედ ამ პატარა ქალაქთან.

ეს ის ქალაქია, რომელიც დაბომბეს გერმანელმა ფაშისტებმა, რამაც მსოფლიოს მოწინავე ადამიანების აღშფოთება გამოიწვია. ამ ძველი ქალაქის ბედმა შთავავონა პიკასო, შეექმნა ცნობილი სურათი „გერნიკა“ (1937 წ.). ამას წინათ საბჭოთა პრესაში საგანგებოდ აღინიშნა გერნიკის აოხრების 40 წლისთავი.

აქ, დაბლობში, ერთ პატარა ეკლესიასთან აღმართულია ძველისძველი მუხა — „წმინდათა წმინდა ხე“ („ხე ფუეროსისა, ღირსებისა და ლოცვისა“). ბასკონიაში მუხის კულტია გავრცელებული. წინათ ამ „წმინდათა წმინდა“ მუხის ქვეშ ტრადიციულად იყრიბებოდნენ ბასკები და ბჭობდნენ საჭირობოტო საზოგადოებრივი საკითხების გარშემო — იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ჯერ კიდევ არ პქონდათ დაწერილი კანონები. აქ მოდიოდნენ ესპანეთის მეფეებიც ბასკების თავეკუცხთან სათათბიროდ და ფიცის დასადებად. ეს რომ სავსებით გასაგები გახდეს, საჭიროა პატარა ისტორიული ექსკურსი.

ბასკებმა ძველად ესპანეთის (კასტილიის) მეფეებისაგან მოიპოვეს ფუეროსის უფლება. ფუეროსები — სამეფო აქტებია, რომელთა ძალითაც პროვინციებსა და ქალაქებს ენიჭებოდათ განსაკუთრებული უფლებები, გარანტიები თუ პრივილეგიები. ბასკების ფუეროსებში მთავარი და არსებითი ის იყო, რომ ამა თუ იმ პროვინციის, ქალაქის მოსახლეობას ნება ეძლეოდა დაენიშნა თავისი წრიდან მოსამართლენი და პოლიციის ხელისუფალნი, ე. ი. ეძლეოდა ერთგვარი თვითმმართველობა, ამასთანავე, ეს რაიონები არ შედიოდნენ ესპანეთის საბაჟო საზღვრებში.

I X — X საუკუნეებიდან მოყოლებული XIX ს. მეორე ნახევრამდე ბასკებმა მტკიცედ შეინარჩუნეს ფუეროსი. შუა საუკუნეებში ყოველ ბასკურ პროვინციას პქონდა თავისი ფუეროსი და მმართველობა ეკისრებოდა ასამბლეას, რომელსაც ირჩევდნენ მოსახლეობის უმრავლესობის მონაწილეობით. ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად ქალაქებში, სოფლებსა და სენიორებში ირჩევდნენ დეპუტატებს



ეროვნულ კრებას გერნიკაში იწვევდნენ.

ფუეროსი დეტალებში იცვლებოდა, მაგრამ უცვლელი იყო მისი არსი: მეფეს ბასკონიაში არ ჰქონდა მიწის მფლობელობისა და მშენებლობის უფლება, არც ჯარისა და ფლოტის შენახვა ევალებოდათ ბასკონიის მკვიდრო; ბასკები თავისუფლდებოდნენ სამხედრო ვალდებულებისაგან; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები არ იყვნენ დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლებისაგან და თავისუფლად აწესრიგებდნენ ფინანსების საქმეს; ვაკრობაში აკრძალული იყო მონოპოლიები; ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბასკონიას ჰქონდა თავისი საბაჟო სისტემა; ესპანეთის ყოველი ახალი მეფე, ვიდრე ტახტზე ავიდოდა, ვალდებული იყო ჩასულიყო გერნიკაში და „წმინდათა წმინდა“ ხის ქვეშ ფუეროსი ფიციტ დაემტკიცებინა; თუ მეფე ფიცის არ დადებდა, ბასკები უარს ამბობდნენ გადასახადებზე.

1936 წლის ოქტომბერში ესპანეთის საკანონმდებლო კრებამ (კორტესი) საზეიმოდ გამოაცხადა ბასკების ავტონომია. გერნიკაში ტრადიციული მუხის ქვეშ მოწვეულ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა ბასკების მუნიციპალიტეტის ოთხასი წარმომადგენელი, არჩეული იქნა დროებითი მთავრობა. ავტონომიურ რაიონს ეწოდა „ბასკების ქვეყანა“. ბასკური ენა გამოცხადდა ოფიციალურ ენად.

დღიდან ფაშისტების ამბოხებისა, ბასკონიის საზოგადოებრივი მოძრაობა მკვეთრად გაიყო ორ ბანაკად: პროფაშისტებად და სახალხო ფრონტის მომხრეებად. ბასკების დიდი უმრავლესობა ამ უკანასკნელთა პოზიციაზე იდგა კომუნისტური პარტიისა და სხვა პროგრესული პარტიების ხელმძღვანელობით. ბასკონიის პროლეტარიატი გლეხობასთან გაერთიანდა. 1937 წლის დამდეგს ბასკი ხალხის მტრები დაიძრნენ ბილბაოსაკენ. ამავე წლის ივლისში ქალაქი მტერს დანებდა. ესპანელმა ფაშისტებმა გამოაცხადეს, რომ ბასკონიის ავტონომია გაუქმებულია. აიკრძალა ბასკური ენის გამოყენება საზოგადოებრივ შეკრებებზე. მხოლოდ ეკლესიაში შეიძლებოდა ორატორს სიტყვა წარმოეთქვა ბასკურ ენაზე. ბასკურ ქალაქებში ქუჩებს სახელი შეუცვალეს და ბასკურის ნაცვლად ესპანური სახელწოდებები შემოიღეს. ასე გასინჯეთ, საფლავის ქვებზედაც კი მოინდომეს წარეხოცათ ბასკური წარწერები და ესპანური წარწერებით შეეცვალათ.

აქ დავიმოწმებ პროგრესული ავსტრიელი უურნალისტის გამართებული შემსრულებელი ბასკთან:

„—რად აირჩიეს ფაშისტებმა გერმანია (დასაბომბავად)?

— მათ, ამ წყეულებს, უნდოდათ აელოთ ბილბაო, ჩვენი დედა-ქალაქი. წაგვართვეს ჩვენი ღვიძლი ენა. მე ბასკი ვარ, ვლაპარაკობ ჩემს მშობლიურ ენაზე. ისინი გვაიძულებდნენ გველაპარაკა მხოლოდ ესპანურად... წამომყევით, ერთ რაღაცას გაჩვენებთ.

ერთ საფლავთან მივყავარ. საფლავის ქვაზე წარწერა გადაფხე-კილია. იგი ბასკურ ენაზე ყოფილა ამოკვეთილი, ამიტომაც უნდა წარხოცილიყო! მაგრამ აქვე, გვერდით, ერთი საფლავის ფილაზე ბასკური წარწერა დარჩენილია! განსვენებულის ნათესავები წასულან რომში და პაპის მეოხებით წარწერა შეუნარჩუნებიათ. ამას კი ყველა ვერ ახერხებს...

როცა სასაფლაო დავტოვეთ, ჩემს მოსაუბრეს მქლავში ხელი გა-ვუყარე.

— მე მინდა გითხრათ, რომ საზღვარგარეთ თქვენ ბევრი, ძალიან ბევრი მეგობარი გყავთ!“ („Литературная газета“, 29. XI. 1962).

აი, სადამდე მივიდა დევნა და შევიწროება ძველისძველი ბასკუ-რი ენისა—ბასკური ეროვნული ოვითმყოფადობის უპირველესი ნიშ-ნისა და ბასკური კულტურის უმძლავრესი იარალისა...

ასეთ პირობებში ბასკონიის მშრომელ ხალხს—ესპანეთის მთელ მუშათა კლასთან ერთად—არ შეუწყვეტია ბრძოლა ფაშიზმის წინა-აღმდეგ. ფართოდ გაიშალა საგაფიცეო მოძრაობა ძირითად სამრეწ-ველო რაიონებში: ბასკების ქვეყანაში, კატალონიაში, მაღრიდის მი-დამოებში — 1950 წლის ბოლოს, 1951 წელს, 1960 წელს...

ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ბასკებმა კვლავ მოითხოვეს ავტო-ნომია.

გერნიკაში „წმინდათა წმინდა მუხის“ ქვეშ შეიკრიბა ორი ათა-სამდე ბასკი; მიიღეს დადგენილება ბასკების დემოკრატიული ასამბ-ლების შექმნის შესახებ...

დღეს გერნიკის დამეხილი ძველისძველი მუხა, სიმბოლო ბასკე-ბის ეროვნული თავისითავალობისა, სამუზეუმო ექსპონატი: მოქცეუ-ლია საფარქვეშ და მის სანახავად აურაცხელი ხალხი მოედინება.

მუზეუმი სათუთად არის მოვლილი, ყურადღებას იპყრობს სტენ-

დღ. სადაც ჩამომწერივებულია მავრების ბატონობის დროს ბასკურტინია  
ბიერ გამოყენებული საბრძოლო იარაღები.

ვერნიკილან ჩვენი დელეგაცია გაემგზავრა ბილბაოსაკენ.

ქალაქი ბილბაო 1936—39 წლების ეროვნულ-რევოლუციური  
ომის დროს ბასკების აფტონომიური რაიონის ცენტრს წარმოადგენ-  
და (დაარსებულია 1300 წელს. ბასკურად „ბელ ვაო“ ნიშნავს მშვე-  
ნიერ ფონს). 1937 წელს ქალაქი დაიპყრეს ესპანელმა ფაშისტებმა  
და შემდგომ იგი გახდა ანტიფრან्सისტების წინააღმდეგ ბრძოლების  
ავანგარდი. ამჟამად მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი ცენტრია მთელ  
ესპანეთში. ცნობილია აქაური უნივერსიტეტი, უმაღლესი ტექნიკური  
სასწავლებელი, სახელითი ხელოვნების მუზეუმი და ბასკური  
კულტურის მრავალი სხვა დაწესებულება.


ბილბაოს მეტყველებაზეა დაფუძნებული ბასკური სალიტერატუ-  
რო ენა.

ბილბაოშივეა „ბასკური ენის სამეფო აკადემია“, დაარსებული  
1918 წელს.

ბილბაოში ჩასულისთანავე შეგვხდნენ აკადემიის წევრები —  
ხაბიერ კინტანა,—რომელიც ქართულად მოგვესალმა,—ხესუს დე  
ოლეაგი, პენია ალბიკი ქსაბიერი, პროფესორი ხოსე ანტონიო არა-  
ნა მარტინა და სხვები.

ბილბაოში ჩვენი მეგზური ხოსე ანტონიო გამოგვემშვიდობა და  
ის შეცვალა ჩავარიამ, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ მაღრიდში გავი-  
ცანით. ჩავარია წარმოშობით ამერიკელი ბასკია, გავლენიანი პი-  
როვნება, მაღრიდის ზემოხსენებული ფირმის სავაჭრო-ეკონომიკური  
დარგის ვიცე-პრეზიდენტი (ხშირად მოგზაურობს განსაკუთრებული  
მისით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ახალი ჩამოსული იყო  
პორტუგალიიდან; რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა).  
იგი ბასკური სამყაროს დიდი პატრიოტია და პროგრესული სული-  
ძეეთებით გამსჭვალული ადამიანი. როგორც მისი „წინამორბედი“ —  
ხოსე ანტონიო, ისიც არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ საბჭოთა  
დელეგაციას ხელსაყრელი პირობები ჰქონდა ბასკონიის ამ მხარე-  
ში მოგზაურობისათვის.

ერთობ სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენი ხანგრძლივი საუბრები აკა-  
დემიის ზემოხსენებულ წევრებთან. გავეცანით საშუალო სკოლებში  
ბასკური ენის სწავლების საკითხებს, ბასკი პატრიოტების მოღვა-



წეობას და ზრუნვას ეროვნული სკოლების შენარჩუნებისათვის, გასტატური კი ახალგაზრდების მამული შვილური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ბასკური ენის დევნა-შევიწროების პირობებში ადვილი არ იყო ბასკონიაში (სამოციანი წლებიდან მოყოლებული) ასზე მეტი დაწყებითი სკოლის გახსნა, სადაც ბასკური ენა რამდენადმე თავის უფლებებში იქნა აღდგენილი. როგორც ვიცით, ფრანკოს ხელისუფლებამ ბასკურ ენას ომი გამოიუცხადა და ამ ვითარებაში მასწავლებლებს ჭეშმარიტად ნამდვილი გმირობა უნდა გამოეჩინათ და ებრძოლათ იმისათვის, რომ არ შეწყვეტილიყო მსოფლიოში უძველესი ბასკური მეტყველების ბუნებრივი განვითარება.

ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ხაბიერ კინტანა ბილბაოს ერთ-ერთ ბასკურ ორგანოში წერდა:

„ეროვნული თვითშევნება ფართოდ იღვიძებს ბასკებში... დღეს 30 ათასი ბასკი სწავლობს ბასკურ ენას. ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოყალიბდა ბასკური ენის შემსწავლელთა ჯგუფები, სადაც ესპანელებიც კი გაერთიანდნენ, ისინიც დაინტერესდნენ ამ უძველესი ენით... წიგნის მაღაზიების თაროებიდან გამოჩენისთანავე ქრება ბასკური სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა დაწაფა ბასკურ ენას. ისინი დღისით მუშაობენ საწარმოებში, ღამით კი შობლიურ ენას სწავლობენ“.


უმაღლეს სასწავლებლებში ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგრადებაა.

მთელ ბასკურ სამყაროში (ესპანეთი, საფრანგეთი, ლათინური ამერიკა) ბასკური ენის კურსი იყითხება უნივერსიტეტებში და ფართოდ გაშლილია ბასკური ენის კვლევა-ძიება.

ბასკური ენის კათედრა პირველად გაიხსნა ბორდოს უნივერსიტეტში 1948 წელს (ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე). იგი დაარსა ფრანგმა ენათმეცნიერმა აკად. რენე ლაფონმა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა).

როგორც რენე ლაფონი აღნიშნავდა, კათედრა იძლეოდა ბასკური ენისა და ლიტერატურის უმაღლესი განათლების სერტიფიკატს და მესამე ციკლის დოქტორის დიპლომს, სადაც აღნიშნულია: „ბასკურის სწავლება“.


1966 წლიდან მოკიდებული თანამედროვე ლიტერატურისა და



ცოცხალი უცხოური ენების განყოფილებათა სტუდენტებს ბორდოს უნივერსიტეტის ფაკულტეტზე შესაძლებლობა აქვთ „მეორე ცოცხალ ენად“ ბასკური აირჩიონ. ამასთანავე, ვისაც სურს უმაღლესი განათლების რეფორმის შემდეგ ბორდოს უნივერსიტეტში თანამედროვე ლიტერატურის და ცოცხალი უცხოური ენების სწავლების უფლება მოიპოვოს, შეუძლია პირველი ციკლის პირველ და მეორე წელს ბასკური ენა აირჩიოს „მეორე ცოცხალ უცხოურ ენად“. კიდევ მეტი: იმვე ფაკულტეტის მეორე ციკლის სტუდენტებს, რომელთაც სწავლების ამ უფლების მოპოვება და—შესაბამისად—მასწავლებლის თანამდებობის დაკავება განუზრახავთ, ისევე შეუძლიათ აირჩიონ მასწავლებლის თანამდებობისათვის „ბასკური ენის, ლიტერატურისა და ცივილიზაციის სერტიფიკატი“, როგორც ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის მასწავლებლის თანამდებობის კანდიდატებს. ამ ღონისძიებებმა სწრაფად გამოიღო ნაყოფი. პირველისა და მეორე ციკლის ბევრმა სტუდენტმა აირჩია ბასკური ენა მეორე ცოცხალ ენად და ბასკური ენის მასწავლებლის სერტიფიკატი; ამ სტუდენტებს, განსაკუთრებით, წარმოშობით ბასკურის, რომლებსაც ბასკური ენის კარგი პრაქტიკა აქვთ, შეუძლიათ საუკეთესო სამსახური გაუწიონ ბასკურის შესწავლის საქმეს თვით გამოცდებისათვის შზადების პროცესში.

მას შემდეგ, რაც ბორდოში შეიქმნა ბასკური ენის კათედრა, სხვა-განაც ჩამოყალიბდა კათედრები და ბასკური ენის შესწავლის ცენტრები: საფრანგეთში (პო), ესპანეთში (სან-სებასტიანი, სალამანკა, პამპლონა, დეუსტო...).

1961 წლიდან ტულუზის უნივერსიტეტში ბასკური ენის კურსის („ესკარულ-რომანული პრობლემების შესწავლის შესავალი“) კითხვა დაიწყო რომანული ენების სპეციალისტმა უკა ალიერმა. ესპანეთში, სან-სებასტიანში, ჩამოყალიბებს იულიო დე ურკუიოს სახელობის ბასკური ფილოლოგიის სემინარი, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს პროფესორი ლუის მიჩელენა. შეიქმნა ბასკური ენის კათედრა „მანუელ დე ლარამენდის“ სახელობის სალამანკის უნივერსიტეტში. 1965 წელს ჩამოყალიბდა „ბასკური ენათმეცნიერების კათედრა-ინსტიტუტი“ დეუსტოს (ბისკაია) „სასულიერო უნივერსიტეტში“; ბასკური ენა ისტავლება ნავარის უნივერსიტეტში (1952 წელს „ოპუს დეის“ მიერ დაარსებული კერძო დაწესებულება, რო-



შელიც 1960 წელს უნივერსიტეტად გადაკეთდა). ფრანგი ბასკოლო-  
გები მიწვეული იყვნენ ამ სამ დაწესებულებაში და იქ წაიკითხეს უნი-  
ლექციები და მოხსენებები. ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში (აშშ) შე-  
მოიღეს „ბასკური ენათმეცნიერების შესავლის კურსი“, რომლის  
კითხვა დაევალა ხონ ბილბაოს, წარმოშობით ბასკს. არსებობს ბაი-  
ონის „ბასკური მუზეუმის მეგობართა საზოგადოება“, რომელსაც სა-  
თავეში ჩაუდგა ლ. დასანის; დამყარებულია მჭიდრო კავშირი მუზე-  
უმსა და ბორდოს უნივერსიტეტს შორის. მუზეუმს მოეპოვება ტო-  
პონიმებისა და ანთროპონიმების მდიდარი კართოტეკა.

ბასკი ლინგვისტები ამზადებენ საკითხს ეროვნული უნივერსი-  
ტეტის დაარსების შესახებ. ამ საქმის ენთუზიასტია პროფესორი  
ლუის მიჩელენა, რომელიც ამჟამად სალამანკის უნივერსიტეტში  
მოღვაწეობს. სხვათაშორის, მიჩელენა მონაწილეობს სსრკ სახალხო  
არტისტის გ. ასათიანის დოკუმენტურ ფილმში—„ბასკთა ქვეყანა-  
ში“ (ქართულად წარმოთქამს სიტყვას). .

ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დოქტორი ხაბიერ კინტანა ნა-  
ყოფიერი მკვლევარია. მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ლინ-  
გვისტური გამოკვლევები, ლექსიკონები (განსაკუთრებით ალსანიშნა-  
ვია ტოვართან ერთად გამოცემული ფუნდამენტური (700—გვერდია-  
ნი) ლექსიკონი (ბასკურ-ესპანური და ესპანურ-ბასკური). წერს მო-  
თხოვებსაც.

ხაბიერ კინტანა დიდი ნაყოფიერებით მუშაობს მთარგმნელობითს  
დარგში.

განსაკუთრებით ალსანიშნავია მისი ლვაწლი მარქსის, ენგელსის,  
ლენინის თხზულებათა თარგმნის საპატიო საქმეში.

ხაბიერ კინტანამ ხელი მიჰყო შოთა რუსთაველის უკვდავი პოე-  
მის ბასკურ ენაზე თარგმნას.

უურნალ „ანაიტასუნაში“ (ძმობა) იგი 1976 წელს აღნიშნავდა:  
„ქართველ ხალხს რომ დავუმტკიცო ჩემი დიდი სიყვარული, გადა-  
ვწყვიტე ვთარგმნო მსოფლიო შედევრი, გენიალური შოთა რუსთა-  
ველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“... მე მინდა „ვეფხისტყაოსანი“  
ვთარგმნო პირდაპირ ორიგინალიდან, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ  
ვერ ვფლობ ქართულ ენას ისე, როგორც საჭიროა, მით უმეტეს XII  
საუკუნის ქართულს, ვიშველიებ ფრანგულ და ესპანურ თარგმა-  
ნებს“. მთარგმნელს გადაუწყვეტია, რომ პოემა ბასკურ ენაზე გადა-

იღვის კლასიური ბასკური ენით, ამიტომ იყენებს ეჩეპარეს (XVI საუკუნის) ენას.

ხაბიერ კინტანა ეხება 16-მარცვლოვანი შაირის ბუნებას და აღნიშნავს, რომ ძნელია თარგმანი მარცვალთა რაოდენობით მიუახლოოს შაირს, რამდენადაც საქმეს ართულებს ბასკური ზმნა, რომელიც იუღლის მიმღეობითა და დამხმარე ზმნით, ეს კი ზრდის მარცვალთა რაოდენობას სალექსო სტრიქონში. იგი აპირებს დღესდღეობით გადათარგმნილი ნაწილი გამოაქვეყნოს პარიზის ქართველოლოგიურ ჟურნალში.

ხაბიერ კინტანა ფართოდ ეცნობა ქართული კულტურის ძეგლებს, ქართველოლოგიურ ლიტერატურას. აღვუთქვით, მივაწოდოთ მისთვის საინტერესო მასალები, რათა უფრო სრულყოფილი იყოს მისი თარგმანი. იგი ყოფილა იერუსალიმში და მოუნახულებია რუსთაველის ფრესკა (სურათიც აქვს გადაღებული რუსთაველის პორტრეტთან). ბასკურ ჟურნალში („ანაიტასუნა“) კინტანა აღნიშნავდა, რომ „ჩვენ გადავწყვიტეთ—შევისწავლოთ და შემდეგ ახალ თაობას ვასწავლოთ არა მარტო ქართული ენა, არამედ სხვა კავკასიური ენებიცო“. აქვე ავტორი ამბობს: „მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყო ბასკური ენითა და ისტორიით დაინტერესება, ესპანეთის მთავრობა გარკვეულ დათმობითს პოლიტიკაზე გადავიდა. კერძოდ, გადაწყვიტეს, თავისუფლად გამოგვეტანა ბასკური დროშა დემონსტრაციებზე, რასაც ფრანგოს მთავრობა კრძალავდა“. კინტანას სურათი შოთას ფრესკასთან დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ (გ. ჩანტლაძის პუბლიკაცია ფართო ცნობების დართვით).

ამავე ჟურნალში მოთავსებულია ცნობები იმის თაობაზე, რომ საქართველოში იწყება ბასკური ენის სისტემატური შესწავლა, უნივერსიტეტში იკითხება ლექციები ამ დარგში და ა. შ. ხაბიერ კინტანას თაოსნობით ჟურნალმა მოათავსა ასეთი სიმბოლური სურათი: ერთმანეთზე გადაჭდობილია ხელები — ერთ მაჯაზე ბასკური წარწერაა, მეორეზე — ქართული, ნეშნად ბასკური ქართველთა ძმობისა და მეგობრობისა. აქვე აღსანიშნავია, რომ ჟურნან. „არგის“ (სინათლე) 1976 წლის იანვრისა და უცრნ. „ეგუნ ონის“ (დღე კეთილი) 1977 წლის აპრილის ნომერში დაბეჭდილია ა. გალდეანოს წერილი „ბასკური ენა საქართველოში“.

საინტერესო საუბარი გაიმართა პროფესორ-დოქტორ ხოსე ან-



ტონიო არანა მარტიხასთან, რომელიც აღიარებული მუსიკათმცოდნების ნეა, ბასკური მუსიკალური ფოლკლორის დაუღალავი მკვლევრის. მოგვიძლვნა თავისი ფუნდამენტური მნიშვნელობის წიგნი „ბასკური მუსიკა“, ერთ-ერთი ფუძემდებელი ნაშრომი საერთოდ ბასკური მუსიკალური კულტურის დარგში. იგი მოწადინებულია შეისწავლის ქართული მუსიკა და შედარებითი კვლევა აწარმოოს ბასკურ-ქართული სიმღერების შესაძლო გენეტური ურთიერთობის საკითხებზე. მალე მას გადაეგზავნება ქართული სიმღერების ჩანაწერები და ჩვენი მუსიკათმცოდნების ნაშრომები.

ჩვენ შევხვდით აგრეთვე ბასკონის პრესის გაერთიანებული სამართველოს ვიცე-პრეზიდენტს, რომელმაც საინტერესო ცნობები მოგვაწოდა ბასკური უურნალ-გაზეთების შესახებ.

ბასკური ენის, კულტურის, ისტორიის კვლევა-ძიება, კერძოდ, ბასკონიაში მაღალ დონეზე დგას. ძნელია დავასახელოთ მეცნიერული ნაშრომი, სადაც არ იყოს ოძრული დასავლეთევროპული ეთნოდა გლობოგენეზის გლობალური საკითხები ბასკოლოგიის მონაცემთა გაუთვალისწინებლად. ბასკური პრობლემის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ თავის ეთნოლოგიურ გამოკვლევებში ფრ. ენგელსი ფართოდ ეხება ბასკურ სამყაროს, როდესაც არყვევს ნეოლითის ეპოქის დასავლეთ ევროპის თავდაპირველი მოსახლეობის პრობლემას და ოღარებს, რომ ამ მოსახლეობის დღევანდელი რელიეტი სწორედ ბასკური ეთნიკური ერთეულია და, მაშასადამე, ბასკები მეტყველებდნენ ენაზე, რომელიც წინ უსწრებდა ინდოევროპულ ენებს ევროპის ამ რეგიონში. დასავლეთ ევროპაში ბასკური ენის სიძველის პრობლემატიკაში ნეოლითური თეორია დიდი ხანია ეჯიბრება ამ ეთნოსის პალეოლითური წარმოშობის ჰიპოთეზას.

საქმარისია გადახედოთ „დიდ ბასკურ ენციკლოპედიას“ და ენციკლოპედიის გამოცემათა სერიაში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურას, რათა დარწმუნდეთ, რა ფართოდაა დღეს სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი ბასკური სინამდვილე.

„დიდი ბასკური ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი ხოსე დე რეტანა გატაცებით გვაცნობდა ენციკლოპედიის სტრუქტურას და იმ დარგობრივ გამოცემებს, რომლებიც განხორციელებულია მთავარი სარედაციო კოლეგიის გეგმაშეწონილი და ფართოდ გაშლილი მუშაობის წყალობით.

„დიდი ბასკური ენციკლოპედია“ — „La Gran Enciclopedia Vasca“ (14 ტომი; თათოეული ტომი 70-ზე მეტ თაბახს შეიცვლა) შედგება დარგებისავან: ისტორია, ბიოგრაფია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, არქიტექტურა, მუსიკა, ლიტერატურა, ლინგვისტიკა, სამართალი, კარტოგრაფია, ფილოსოფია, ფოლკლორი, გასტრონომია, იკონოგრაფია, პოლიტიკა, ტოპონიმია და სხვ.

განსაკუთრებით ოლსანიშნავია ხელახალი გამოცემა (28 ტომად) საერთაშორისო უურნალისა — „ბასკური გამოკვლევები“, რომელიც 1917—1936 წლებში გამოდიოდა (უურნალში იძეჭდებოდა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების — ვინკლერის, შუხარდტის, მარის, მეიეს, ლუკეს, შულტენისა და სხვათა გამოკვლევები). უურნალმა მნიშვნელოვანი როლი შესარულა საერთოდ ბასკოლოგიური დისციპლინის განვითარებაში (ეს ტომები შეძენილი აქვს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას ლენინგრადში).

გარდა ამ ძეირფასი ფუნდამენტური ნაშრომისა, ბასკური ენციკლოპედიის გამოცემათა სერიებში გამოქვეყნებულია: „ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ლექსიკონი“ (ჯერ გამოსულია 2 ტომი), „ბასკური დიალექტების ელემენტარული გრამატიკა“ (3 ტომად), „ბასკური მითოლოგიის ილუსტრირებული ლექსიკონი“, „ბასკური სამზარეულო“ (მონოგრაფია), „გამოჩენილი ბასკების ბიოგრაფიები“, „ბასკური ხალხური სიმღერები“ (2 ტომად), „ონომასტიკური ლექსიკონი“ (6 ტომად), „ბასკების ანთროპოლოგია“, ბასკეთის პროვინციების — გიბუსკოის, ალავის, ნავარის ისტორიული მიმოხილვები და მრავალი სხვა.

ბასკ კოლეგებს გავუშიარეთ, რომ ჩვენი სურვილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოებასთან შეეჭმნათ ბასკოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ამ მიზნით ბასკონიის გამომცემლობებმა და ბასკური ენის აკადემიამ დიდი ხალისით გადმოგვცეს შესანიშნავი წიგნები — დიდალი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც საფუძვლად დაედება ჩვენს ნორჩ ბიბლიოთეკას. ბასკური სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოთეკა თანდათანობით შეიიღსება, — როგორც შეგვპირდნენ, — ჩვენი ესპანელი და ბასკი მევობრებისაგან გამოგზავნილი ლიტერატურით.

ჩვენ მიერ ჩამოტანილი მეცნიერული ნაშრომები მრავალფერო-



ვანი ხასიათისაა. ესენია: 1. ბასკური ენის სახელმძღვანელოები ელემენტარული კურსები, 2. თეორიული გამოკვლევები ბასკური ენის გრამატიკის საკითხებზე (აკადემიის პრეზიდენტის ვილასანტესა და სხვათა შრომები), 3. ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა (მათ შორის — კინტანასა და ტოვარის ფუნდამენტური ლექსიკონები), 4. ბასკური ენისა და ლიტერატურის ტექსტები, 5. საფრანგეთისა და ესპანეთის ბასკეთის ეპიგრაფიკული ძეგლები (მათ შორის — სამტომიანი უბრწყინვალესი კაპიტალური გამოცემები საფლავის ქვების წარწერებისა), 6. მასალები ბასკების ანთროპოლოგიის პირველი საერთაშორისო კონგრესისა: მოხსენებები, რომლებსაც ერთვის ვრცელი რეზიუმე რუსულ და დასავლეთ ეკრობის ენებზე, 7. ეტიუდები ბასკური ეთნოგრაფიდან (მათ შორის—ბასკური საცხოვრებელი სახლების ვრცელი ოღწერილობანი), 8. ბასკური ხალხური დეკორი და ორნამენტიკა, ძველი ბასკური ხელოვნების ნიმუშები, 9. ბასკური მუზეუმის ექსპონატების აღწერილობანი მდიდარი ილუსტრაციებით და სხვ. გეხვდება უძველესი უნიკალური გამოცემებიც (მაგალ., 1607 წელს დაბეჭდილი წიგნი ეჩაიესი ბასკური ენის აგებულების შესახებ).

ბასკოლოგიური სპეციალური ლიტერატურის თავმოყრა ნაკარნახევია საქართველოში ამ დარგის განვითარების, ახალი ბასკოლოგიური კადრების აღზრდის აუცილებლობით. ესპანეთში ჩვენი მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი შედეგი სწორედ ეს გახდავთ.

ესპანეთში ბასკური ენათმეცნიერების ცენტრს წარმოადგენს „ბასკური ენის სამეცო აკადემია“ (Real Academia de la lengua Vasca. Académie Royale de la langue Basque. Euskaltzaindia).

იმთავითვე აკადემია აერთიანებდა ენათმეცნიერებს, ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, მწერლებს, აკადემიას აქვს თავისი ორგანო „Euskeria“ („ბასკური ენა“). ბოლო ნომერი გამოვიდა ბილბაოში 1976 წელს (რედაქტორი—აკადემიკოსი ლუის ვილასანტე). უკრნალში იბეჭდება მნიშვნელოვანი ნაშრომები ბასკური ფილოლოგიდან.

აკადემიის პრეზიდენტია ლუის ვილასანტე (Luis Villasante).

როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოება (1975 წ.), ბასკური ენის

სამეფო აკადემიამ პრეზიდენტის ხელმოწერით ასეთი გულთბილი წევნის შემსრულებელი რილით მოგვმართა:

„შევიტყვეთ, რომ დაარსდა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვთ დასახული გააცნოს თქვენს ქვეყანას ბასკების ენა, ლიტერატურა და ისტორია. ამ წერილით გვსურს მოგილოცოთ ეს ინიციატივა და ამ წამოწყების გამო ქართველი ხალხის მიმართ მაღლიერების გრძნობა გამოვთქვათ. ჩვენი მხრით, შევეცდებით მოგაწოდოთ კველაფერი, რაც შეეხება ბასკების ენასა და ლიტერატურას. ვიმედოვნებთ, რომ ამ განსვენებული აკადემიკოსის რენე ლაფონის მიერ წამოწყებული კონტაქტები მომავალში უფრო მრავალფეროვანი გახდება და სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.“

ეს ტექსტი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში.

აკადემიკოს ლუის ვილასანტეს მიერ გამოგზავნილი ოფიციალური მოლოცვა საგანგებოდ მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

ბასკური ენის სამეფო აკადემიას გაეგზავნა საპასუხო წერილი, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია:

„ულრმეს მაღლობას მოგახსენებთ თქვენ და მთელ აკადემიას გულითადი მოლოცვისათვის და იმისათვის, რომ აღგვითქვით დახმარების აღმოჩენა. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველგვარი პირობებია შექმნილი ბასკოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის, ბასკოლოგიური კვლევა-ძიების გასაშლელად და გასაღრმავებლად. ჩვენი მუშაობის შესახებ ბასკური ენის სამეფო აკადემიას დროდადრო მოვაწვდით საჭირო ცნობებს, ამასთანავე, გახსლებთ ქართველოლოგიურ ლიტერატურას. ვიმედოვნებთ, ჩვენს შორის დამყარდება საქმიანი მეცნიერული ურთიერთობა“...

ჩვენი დელეგაციის უმთავრესი მიზანი იყო ბასკური ენის სამეფო აკადემიის გაცნობა და მასთან მჭიდრო კონტაქტების საფუძვლის ჩაყრა.

ეს ამოცანა წარმატებით დაგვირგინდა.

პრეზიდენტი ლუის ვილასანტე და აკადემიის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები გვერდნენ აკადემიის საზაფხულო რეზიდენციაში,



რომელიც მდებარეობს ბილბაოდან 70 კილომეტრის დაშორებით აქვეა მოთავსებული ესპანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია უძველესი ესპანური გამოცემები, ხელნაწერები, მრავალფეროვანი ბასკოლოგიური ლიტერატურა.

ბილბაოდან ჩევნთან ერთად გამოემგზავრა აკადემიის რამდენიმე წევრი, მათ შორის — ხაბიერ კინტანა, ბასკური მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარი ხოსე არანა და სხვ.

აკადემიის პრეზიდენტი და მისი თანამშრომლები განსაკუთრებული გულისხმიერებითა და ყურადღებით შეგვეცდნენ. ლუის ვილასანტე სასახლის ეზოშივე გამოგვევება, სიყვარულით გამთბარი სიტყვებით მოგვმართა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი, საერთოდ, დიდი პატივისცემით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მიმართ, თვალყურს ადვენებს საბჭოთა მეცნიერების უმაგალითო მიღწევებს და მოხარულია, რომ ბასკური ენის აკადემიას ღლეს შესაძლებლობა მიეცა საქმიანი კონტაქტები დაამყაროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ აკადემიის პრეზიდენტი ლუის ვილასანტე სახელგანთქმული ბასკოლოგ-ენათმეცნიერია. მისი ნაშრომები შეეხება ბასკური ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, გრამატიკის საკვანძო პრობლემებს. ამავე დროს, ავტორიტეტული მეცნიერი ღიღდ ყურადღებას უთმობს სალიტერატურო ენის პრაქტიკულ საკითხებს და მეთაურია ახალი მოძრაობისა, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ბასკური ენის უფლებები, იბრძოლოს ამ ენის პრესტიუსისათვის, მისი კანონიერი ისტორიული ადგილის მოპოვებისათვის მთელი ესპანეთის ენობრივ სამყაროში.

ლუის ვილასანტე აქვეყნებს აგრეთვე ძველი ბასკური ლიტერატურის ძეგლებს. აღსანიშნავია მისი ღვაწლი XVII საუკუნის ბასკი მწერლის პედრო აშულარის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამომზეურების საქმეში (ასეთია, მაგალითად, ცნობილი ძეგლის — „გეროს“ მეცნიერული პუბლიკაცია). აშულარი საფრანგეთის ბასკეთის მკვიდრია და წერდა ლაბურდის დიალექტზე. ამასთანავე, ლუის ვილასანტე ავტორია ნაშრომისა — „ბასკური ლიტერატურის ისტორია“. აქვეყნებს მოთხოვნებებსაც, რომლებიც დაწერილია უნიფიცირებული ბასკური სალიტერატურო ენით.



ისიც უნდა დავსძინო, რომ ლუის ვილასანტე რიგიანად იცნობს ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მიღწევებს, ანტიკური ხანის პეტრ-რებს, ჰუმბოლდტის, მიულერის, შუხარდტის, მარის, ბოუდას და სხვათა ნაშრომებს.

პრეზიდენტმა მოგვიძლვნა თავისი რამდენიმე წიგნი და მეც მოკრძალებით გადავეცი ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული ჩემი წიგნი, სადაც მოკლედ გაღმოცემულია ქართული ენის ისტორიული განვითარების საკითხები, კერძოდ, საუბარია ბასკურისა და ქართულის ნათესაობის თეორიაზე.

ყოველივე ამის შემდეგ გაიმართა თათბირი და საქმიანი მოლაპარაკება ჩვენთვის საინტერესო საგანზე.

უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტმა გაგვაცნო ბასკური ენის აკადემიის საქმიანობა და ის ძირითადი სამეცნიერო გამოცემები, რომლებიც განხორციელებულია აკადემიის წევრთა მიერ ბასკური ენის შესწავლის დარგში. ამას მოჰყვა ჩემი პატარა მოხსენება, რომელშიც ოძრული იყო შემდეგი საკითხები: 1. ქართული საბჭოთა ფილოლოგიური მეცნიერების ძირითადი მიღწევები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთვზე, კერძოდ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, 2. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, 3. საბჭოთა საქართველოში ბასკოლოგიური დისციპლინის დაფუძნების პირველი ცდები.

პროფ. ი. ტაბალუამ ილაპარაკა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების საკითხებზე და ყურადღება გაამახვილა ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლის თანამედროვე ვითარებაზე.

ვრცელი სჯა-ზაასისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რაც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგ პუნქტებში:

1. ბასკური ენის სამეფო აკადემიაში შეიქმნება საკონტაქტო სამეცნიერო-ორგანიზაციული ცენტრი, რომელიც გააერთიანებს მთელი ესპანეთის იმ სპეციალისტებს (ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს, ანთროპოლოგებს, მუსიკალური და პოეტური ფოლკლორის მკვლევრებს), რომლებსაც აინტერესებთ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზათან დაკავშირებული პრობლემები. სა-

  
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი უშუალოდ დაკავშირებული იქნებიან ამ მაკონკრეტულ  
ნირებელ ცენტრთან, ეს ცენტრი განახორციელებს საერთო სამუ-  
შაოებს.

2. ბასკური ენის სამეფო აკადემია ყოველგვარ დახმარებას აღმო-  
უჩენს ასპირანტ-სტაჟიორებს, რომლებიც წარგზავნილი იქნებიან სა-  
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიდან და თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტიდან ესპანეთში ბასკოლოგიურ პრობლემებზე  
სამუშაოდ.

ბასკური ენის სამეფო აკადემია უახლოეს ხანში წარგზავნის სა-  
ქართველოში ორ ახალგაზრდა სპეციალისტს ქართული ენის შესას-  
წავლად.

3. განხორციელდება სისტემატური გაცვლა სპეციალური სამეც-  
ნიერო ლიტერატურისა.


4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პერიოდულ გამოცემებში დროდადრო  
გამოქვეყნდება ბასკური სპეციალისტების ნაშრომები, ხოლო ბასკუ-  
რი ენის სამეცნიერო აკადემიის სამეცნიერო ორგანოში — ქართველი სპე-  
ციალისტების ნაშრომები.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტი უახლოეს თვეებში სამი თვით მოიწვევენ  
საქართველოში ბასკური სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს  
ხანგრძანების ბასკურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის შესრუ-  
ლებასთან დაკავშირებით და ქართველოლოგიაში ცოდნის გაღრმა-  
ვების მიზნით.

6. ბასკოლოგთა სიმპოზიუმზე თბილისში (ნაგარაუდევია უახ-  
ლოეს წლებში) მონაწილეობას მიიღებს ბასკური ენის სამეფო აკა-  
დემიიდან ოთხი-ხუთი აკადემიკოსი.

ეს გადაწყვეტილებანი გაფორმებულია ოქმით.

თათბირის შემდეგ დავათვალიერეთ ზემოხსენებული შესანიშნავი  
ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია უნიკალური წიგნები ესპანურ  
ენაზე (მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებისა) და ძვირფასი  
ილუსტრაციებით შემკობილი ხელნაწერები. აქეეა ძველი ბასკური  
წიგნები და ხელნაწერები. ბიბლიოთეკით უხვად სარგებლობენ რო-  
მანული ფილოლოგისა და ბასკოლოგის ცნობილი სპეციალისტები.



დაბოლოს, ბანკეტი, რომელიც სტუმრების პატივსაცემად მოაწერდა უო აკადემიის პრეზიდენტმა, დადასტურება იყო იმ დღეს საფუძველი ჩაყრილი თანამშრომლობისა და გულწრფელი მეგობრობისა. მოვისმინეთ ბასკური სუფრული სიმღერები...

ჩვენი დელეგაციის მოგზაურობას სათანადო გამოეხმაურა ეს-პანეთის პრესა. გაზეთებში ქვეყნდებოდა საბჭოთა დელეგაციის წევრთა სურათები, მადრიდისა და ბასკონიის ბეჭდვითი ორგანოების კორესპონდენტებს ვაწვდიდით ცნობებს ჩვენი მიზან-ამოცანებისა და მოგზაურობის შედეგების შესახებ, რამდენიმე გაზეთში მოათავსეს ვრცელი ინტერვიუ და ა. შ. (მაგალ., „El Correo Español“, „El Diario Vasco“).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დელეგაციის დაბრუნებას ესპანეთი-დან უმაღ გამოეხმაურა „ნედელია“, რომლის ფურცლებზე ვკითხულობთ:

„ამ დღეებში ესპანეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა მეცნიერთა ჯგუფი. ისინი შეხვდნენ ბასკოლოგებს—ბასკური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის სპეციალისტებს, ისაუბრეს ესპანეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან.

ჩვენმა მეცნიერებმა თავიანთ კოლეგებს აცნობეს, რომ თბილისის უნივერსიტეტში ამჟამად იკითხება ბასკური ენის ლექციების კურსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობენ ბასკური ენისა და ეთნოგრაფიის ახალგაზრდა სპეციალისტები.

შემუშავებულია თანამშრომლობის გეგმა. კერძოდ, ბასკური ენის აკადემიაში შეიქმნება საკონრდინაციო ცენტრი, რომელიც გააერთიანებს ესპანელ სპეციალისტებს, რომლებიც იყვლევენ ბასკურ-ჯართულ პრობლემებს.

გადაწყვეტილია თბილისში მოწვეულ იქნეს სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ბასკური ენის აკადემიის ნამდვილ წევრთა ჯგუფი“ („Неделя“, № 32, 1977).

ისიც მინდა ვთქვა, რომ მაღრიდში საკონცერტო საღამოებზე ესტრადიდან აცხადებდნენ, რომ კონცერტს ესწრება საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია. ანდალუზიელი ბოშა ქალების საკონცერტო საღამოზე სცენიდან შეისვა დელეგაციის წევრთა სადღეგრძელო... ყველან გვილებდნენ დიდი ინტერესითა და განსაკუთრებული სითბოთი.

ეს გარემოება ესპანეთში, კერძოდ — ბასკონიაში, საბჭოთა ქვეყნის სადმი, საბჭოთა საქართველოსადმი ინტერესის გამომუღავნების ერთი პატარა რგოლია.

---

1977 წლის ივლისში საბჭოთა მეცნიერების პირველი დელეგაციის ბასკეთში მოგზაურობისა და ამასთან დაკავშირებით ბასკურ-ქართული პრობლემატიკის მოკლე მიმოხილვა, რასაც ჩვენი მკითხველი გაეცნ, ვფიქრობთ, დაარწმუნებს მას ჩვენი ქვეყნების ურთიერთ-დაახლოებისა და ურთიერთშესწავლის აუცილებლობაში.

როგორც დავინახეთ, ამ მოგზაურობით ხორცი შეესხა ჩვენი წინაპრების წარუმატებელ განხრახევას, რომელთაც ამ 1000 წლის წინათ მიზნად დაისახეს მონაცემებინათ „ქართველი დასავლისანი“, როგორც ისინი ფიქრობდნენ, თავიანთი შორეული ნათესავები.

ჩვენმა დელეგაციამ, გარდა იმისა, რომ ინახულა ბასკთა ქვეყანა, საფუძველი ჩაუყარა მუდმივ კონტაქტებს სამეცნიერო წრეებს შორის, განსაზღვრა ამ კონტაქტების შინაარსი, ფორმები და დასახა მათი განხორციელების ლონისძიებანი.

რამდენადაც ორივე მხარე გულწრფელად და სრული ინტერესით ექიდება ჩვენ შორის ბეჭიდრო ურთიერთობის დამყარებას და ამას აქტუალურ სადღეისო ამოცანად მიიჩნევს, ვიმელოვნებთ, რომ ეს პირველი ნაბიჯი უკვალოდ არ დარჩება და იგი მაღლ გამოიდებს სათანადო ნაყოფს.

---

ჩვენი დელეგაციის მოგზაურობა ბასკების ქვეყანაში, ვფიქრობთ, მცირე ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ახლო მომავალში უნდა გარშალოს ჩვენში ბასკოლოგიური მეცნიერების გაღრმავებისა და გაფართოებისათვის. უდავოა, რომ ამ ამოცანების განხორციელება კომპლექსურ მიღებამა მოითხოვს: ენათმეცნიერების, ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, არქეოლოგების, ფოლკლორისტების, მუსიკათმცოდნების, ანთროპოლოგების ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა უზრუნველყოფს ბასკურ-კავკასიური პიპოთეზის (Euscaro-Caucasica) მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებას და მომავალში პაზიტიური შედეგების მიღებას.



ჩვენი ამოცანაა—გამოვიყენოთ ამ დარგში მოპოვებული მიწოდებულები და ჩვენთვის საინტერესო ლინგვისტური და კულტურულისტორიული პრობლემის კვლევას რესპუბლიკაში ფართო პერსპექტივები გადავუშალოთ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდა კადრების შემოკრებისა და აღზრდისათვის.

ბასკებისა და ქართველების (საერთოდ, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხების) შესაძლო ურთიერთობის შორეული წარსულის სურათებს მკვლევართა ახალმა თაობამ უნდა გადაწმინდოს ზედწაც-რილი ფერფლი მზრუნველი ხელით და მაშინ მეტი ელვარებით და ცხადლივ გამოჩენდება ძველი ეთნოლოგიური და ენობრივი ქსოვილი, რომელსაც ისტორია — ეს მარადიული ფეიქარი — ოვალწინ გვიშლის.

გამომცემლობის რედაქტორი გ. ჩხაიძე  
 მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვანიძე  
 ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი  
 კორექტორი ნ. ჭანთარია

გამოშვები ფ. ბუდაშვილი

გადაეცა წარმოებას 13/X-77  
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII-77  
 ქაღალდის ფორმატი  $60 \times 84^{1/16}$   
 ნაბეჭდი თაბაზი 4,25  
 საალრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 3,26

შეკვეთა 1605 უე 13503 ტირაჟი 20000

ფასი 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
 Издательство Тбилисского университета,  
 Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
 Типография Тбилисского университета,  
 Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.



ШОТА ВАРЛАМОВИЧ ДЗИДЗИГУРИ  
ПУТЕШЕСТВИЕ В БАСКОНИЮ  
(ИЮЛЬ 1977 ГОДА)  
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси, 1977

